# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 მარტი 2008 №055 (3279) ფასი 50 თეთრი


# არგასაშვები

## კოდალაევმა ბურთი გაუშვა, სპარტაკმა კი დინამო



## ნახევარფინალი დღეს შეიკვრება

# კრება და შეკრება

## ლევან კობიაშვილი: ასე მიფუჩეჩება არ შეიძლება



# ინგლისი ევროპის ნახევარია



# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# ბესიკ კოდალაევმა სენსაცია გაუშვა



ლევან ხმალაძის საგოლე თავური

თბილისი. 11 მარტი. 14.30 საათი. ეროვნული. 50 მაყურებელი

### დინამო 2:1 სპარტაკი (0:0)

0:1 ლონლაძე (29), 1:1 კრშკო (60), 2:1 ხმალაძე (76)

| | |
|---|---|
| დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი (გ. კაშია 84), კრშკო, დობეში, ხმალაძე, ოდიკაძე, დიღმელაშვილი, გ. მერებაშვილი, მ. ხუციშვილი (სპასოევიჩი 57), ვაწაძე (თომაშვილი 90) *სათადარიგონი:* ლორია; გველესიანი, ფირცხალავა, ნერგაძე მწვრთნელი: დუშან უპრინი | სპარტაკი: კოდალაევი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ბახტურიძე, დათუნაშვილი (კუპრეიშვილი 68), ძარია (თექთუმანიძე 79), გოგოხია, მ. ლონლაძე, ტყემელაშვილი (ჭ. კვარაცხელია 78) *სათადარიგონი:* ქვილითაია; ქავთარაძე, ქორიძე, ხიზანიშვილი მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |

გაფრთხილება: გოგოხია (58), ვაწაძე (61), ბახტურიძე (88), თექთუმანიძე (90)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ბეუქლიშვილი

დამკვირვებელი: მ. ჭელიძე; დირექტორი: შ. ბაქრაძე

კობა ინასარიძე

**უმაღლესი** ლიგიდან გავარდნის პირას მყოფ ცხინვალის „სპარტაკს“ გუშინ ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატ „დინამოსთან“ 15 წუთიც რომ გაეძლო, საქართველოს თასის მეოთხედფინალში გვარიან სენსაციას მივიღებდით — თბილისელები ამ ტიტულისთვის ბრძოლას გამოეთიშებოდნენ და გზას „სპარტაკს“ დაუთმობდნენ... არადა, ცხინვალელები სენსაციასთან მართლაც ახლოს იყვნენ.

ამ გუნდების პირველი მატჩი, რომელიც სამი კვირის წინ გორში შედგა, შეგახსენებთ, უგოლოდ დამთავრდა. ცხინვალელებმა დინამოელები მაშინაც საკმაოდ ანერვიულეს — რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა და თბილისში უკეთესი ანგარიშით წამოსვლა.

საპასუხო მატჩშიც თითქმის ნახევარი საათი ნულები იყო. მასპინძელი „დინამო“ თავიდან შეტევას მაინცდამაინც არ მისძალებია, თუმცა, ცხადია, უპირატესობა სწორედ თბილისელებს ჰქონდათ და ბურთიც „სპარტაკის“ კარის სიახლოვეს დაგორავდა. სტუმრები მთელი გუნდით იცავდნენ თავს, ისინი კონტრშეტევების იმედად იყვნენ და აკი 29-ე წუთზე გაუმართლათ კიდეც: თბილისელი მცველები პოზიციურად შეცდნენ და თამაშგარე მდგომარეობის ზღვარზე მყოფი ფორვარდი მამუკა ლონლაძე დიდიე ოვონოსთან პირისპირ დარჩა. სპარტაკელს მილოშ კრშკო აედევნა, მაგრამ ბურთიანმა შემტევმა მცველს საჯარიმოს ხაზთან გზა ჩაუჭრა და მეკარეს შორეულ კუთხეში ზუსტად დაურტყა...

ცხინვალელებმა უზომოდ გაიხარეს და გოლამდე რა დაცვითი ბარიერებიც ჰქონდათ, გოლის შემდეგ ის კიდევ უფრო გააძლიერეს. „დინამოს“ საქმე ძალიან გართულდა, მასპინძლებს ნახევარფინალში გასაღწევად უკვე ორი გოლი უნდა გაეტანათ, ასეთი დაცვის გარღვევა კი ყველა გუნდს როდი შეუძლია...

მოკლედ, „ეროვნულზე“ სენსაციის სუნი დატრიალდა, „სპარტაკი“ ნახევარფინალამდე ნახევარ ნაბიჯში იყო.

შესვენებამდე „დინამოს“ ცდა არ დაუკლია. თბილისელები უტევდნენ, ურტყამდნენ პირველივე ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ — გიორგი მერებაშვილი, მათე ვაწაძე, მიხეილ ხუციშვილი მიზანთან ახლოს იყვნენ, თუმცა „სპარტაკის“ მეკარე თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა და კარისკენ მიმავალ ბურთებს მცველებიც თავგანწირვით ელობებოდნენ.

შესვენებაზე გასახდელისკენ მიმავალი „დინამოს“ მწვრთნელი დუშან უპრინი შეყოვნდა — ილია სპასოევიჩს უხმო და მეორე ტაიმში სათამაშოდ გაამზადა, თუმცა საქმეში ის მოგვიანებით ჩართო ხუციშვილის ნაცვლად. სპასოევიჩი უპრინმა მარჯვენა ფლანგზე გაამწესა და სწორედ ჩერნოგორიელი ფეხბურთელის წამოწყებულ შეტევას მოჰყვა „სპარტაკისთვის“ საბედისწერო კუთხური: სტუმართა მცველისგან აჭრილი ბურთი კოდალაევმა კარგად ვერ მოიხელთა და ბურთიანად პირით ხაზს გადასცდა. მერე იყო კუთხური და მილოშ კრშკოს ისეთი გოლი, რომელმაც თავად სლოვაკი ფეხბურთელიც გააკვირვა. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ჯერ მოედანზე დავარდა, მეკარის ბაქანს გალმა კი კრშკომ თავი არც ისე ძლიერად დაარტყა. დაარტყა და უკანვე, თავისი სათამაშო პოზიციისკენ, ცენტრისკენ, გაბრუნდა. მისი დარტყმული კი კარში აღმოჩნდა — ბურთი ერთხელაც ბესიკ კოდალაევის ცხვირწინ დავარდა, მეკარეს მხარზე მოხვდა და... მეკარის ასეთი უხეში შეცდომა ძალიან იშვიათად გვინახავს. ხოლო კრშკომ, მისი დარტყმული რომ საგოლე აღმოჩნდა, პარტნიორების მილოცვის შემდეგღა გაიგო — კურიოზული გოლი იყო.

ეს იყო და, „დინამო“ კიდევ მეტად გაშმაგდა და მეტოქეს უფრო თავდაჯერებულმა შეუტია. ნახევარფინალისთვის თბილისელებს ერთი გოლიც სჭირდებოდათ. სტუმრებმა კი მეტოქის კარი მთლად დაივიწყეს და საკუთარ საჯარიმოს აღარც მოშორებიან. ჩანდა, რომ ისინი კონტრშეტევებზეც აღარ ფიქრობდნენ. სტუმრები ბურთს უმისამართოდ, საითაც მოუხდებოდათ, იქით იგერიებდნენ. ასეთ თამაშს კი „დინამოს“ მეორე გოლიც მოჰყვა. თბილისელებმა ისევ კუთხურის შემდეგ იხეირეს — მერებაშვილის ჩაწოდებულს ახლო ძელთან ლევან ხმალაძე დაუხვდა და უნაკლო თავურით გაიტანა. ამ ეპიზოდში ხმალაძისთვის ხელისშემშლელიც არავინ გამოჩნდა...

მერე უკვე „დინამომ“ მშვიდად, აუღელვებლად მიიყვანა მატჩი სასურველ შედეგამდე.

უპრინმა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, დაცვა გააძლიერა, კობა ჟორჟიკაშვილს კი შეტევის შეცვლებით გაძლიერებამაც არაფერი მოუტანა, აღარც სენსაცია გამოვიდა...

ბორჯომი. 11 მარტი. 14.30 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 400 მაყურებელი

### ბორჯომი 3:1 დილა (2:3)

1:0 ჯიუსი (4), 1:1 სადღაშვილი (40), 2:1 ფეიქრიშვილი (56), 3:1 ჩირიკაშვილი (61)

| | |
|---|---|
| ბორჯომი: გრიშიკაშვილი, ც. ბოლქვაძე (თედიაშვილი 59), გოგიჩაიშვილი, ქავთარაძე (ნ. ლომიძე 71), კაკუბავა, ქარქუზაშვილი, გუგავა, ჩირიკაშვილი, შ. გრიგალაშვილი, ფეიქრიშვილი, ჯიუსი *სათადარიგონი:* სეფიაშვილი; დევიძე, ნასყიდაშვილი, კირთაძე მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | დილა: ცერცვაძე, ი. გვეტაძე, ბერიანიძე, ლაცაბიძე, ბაღაშვილი, ნ. სადღაშვილი, ნ. ნოზაძე (ი. ლომიძე 80), შატაკიშვილი, სულთანიშვილი, ჩერქეზიშვილი (რეხვიაშვილი 46), მიქაძე (ბალიაშვილი 60) *სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი; ვარდოსანიძე, იჩქითი მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი |

მსაჯები: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე, ა. კრიჭაშვილი

დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე; დირექტორი: ნ. კაკულია

# ბორჯომმა და დილამ აქცენტები გაცვალეს

მიხეილ ჟორჟოლიანი ბორჯომიდან

**„ბორჯომმა“** პირველად მოახერხა საქართველოს თასის ნახევარფინალში გასვლა და ეს სულაც არ გაძნელებია.

კურორტელებმა ამ მატჩისთვის გიორგი მეგრელაძე მოისაკლისეს და გამოკვეთილი ფორვარდი არ ჰყავდათ. ამ ფუნქციას დროდადრო დონალდ ჯიუსი, გიორგი ფეიქრიშვილი და შოთა გრიგალაშვილი ითავსებდნენ, რომელთაც სხვებიც ეშველებოდნენ. განსაკუთრებით ირაკლი ჩირიკაშვილია გამოსარჩევი.

გრიგალაშვილისთვის „ბორჯომი“ უცხო არ არის, „დინამოდან“ მესამედ გაანათხოვრეს კურორტზე. ფეიქრიშვილმა გულშემატკივარს თავი მოაწონა, თუმც ცალკე უნდა ვთქვათ ჯიუსზე. კამერუნელმა უკვე შეაყვარა თავი იქაურებს და — „მიდი, ზანგურა“, „კარგია, ზანგურა“ — ხშირად ისმოდა ტრიბუნაზე.

ერთმა ინგლისურის „მცოდნემ“ გარისკა და წაქცეული ჯიუსი შეაგულიანა კიდეც: „სით დაუნ, ფლიზ“.

ჯიუსმა თავიდანვე გაიტანა: ბორჯომელებმა კარგად გაითამაშეს ბურთი, საგოლე პასი კი ჩირიკაშვილმა ითავა — კამერუნელს საჯარიმოში მიაწოდა და მანაც ერთი შეხებით გადაგზავნა კარში.

წუთში ქრისტეფორე შატაკიშვილმა 25 მეტრიდან გაისროლა და სოსო გრიშიკაშვილმა კუთხურზე გადააგდო. ეს იყო და ეს, აქედან მოყოლებული ბორჯომელებმა იმდენი საგოლე მომენტი შექმნეს, ბარე ხუთ მატჩს ეყოფოდა...

სამჯერ ჯიუსმა, ორჯერ ქავთარაძემ, თითოჯერ ჩირიკაშვილმა და ფეიქრიშვილმა ვერ გაიტანეს და...

მე-40 წუთზე გიორგი გუგავა შეცდა, ბურთი ნიკოლოზ სადღაშვილს ჩააბარა, მან ჯერ ლევან კაკუბავას გადაუგდო ბურთი თავზე და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა არ გასჭირვებია.

ერთია, ეს დიდად არ გახარებია.

მეორე ტაიმში „ბორჯომმა“ სამჯერ მოარტყა ბურთი ძელს, რამდენჯერმე ავთანდილ ცერცვაძემაც კარგად ითამაშა, თუმც...

56-ე წუთზე ჯიუსმა მეკარესთან პირისპირ დატოვა ფეიქრიშვილი, რომელმაც ძელს გაარტყა ბურთი, დამატებაზე კი წაქცეულმა იმარჯვა და გაიტანა — 2:1.

ხუთ წუთში ჯიუსი-ფეიქრიშვილი-ჩირიკაშვილის კომბინაცია საგოლე თავურით დასრულდა — 3:1.

**პრესკონფერენცია**

***ზურაბ ხორგუაშვილი:*** ვულოცავ „ბორჯომს“ ნახევარფინალში გასვლას. ჩვენ აქცენტი ჩემპიონატზე გვაქვს გადატანილი და ვეცდებით, ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ.

***ვლადიმერ ხაჩიძე:*** ჩემპიონატში დიდი ამბიციები არ გვაქვს და ყურადღება თასზე გადავიტანეთ, ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა დაგვრჩა და კარგი იქნება, თუ გავალთ.

თბილისი. 12 მარტი. 14.30 საათი. ამერი

### ამერი — მაღაროელი (2:1)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

ზესტაფონი. 12 მარტი. 14.30 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ოლიმპი (1:0)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, დ. ხარიტონაშვილი


ფეხბურთი

თბილისი. ამერის სტადიონი
საქართველოს თასი. მეოთხედფინალი.
საპასუხო მატჩი
12 მარტი
ამერი — მაღაროელი
თბილისი ქიათურა

დასაწყისი 14.30 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ კიდევ ერთმა უკრაინელმა ფეხბურთელმა, ანტონ კოვალევსკიმ ჩამოაკითხა და თბილისის „ამერთან“ მე-16 ტურის მატჩში (1:2) ითამაშა კიდეც. ამერელთა კარში ერთადერთი გოლი ალექსანდრ ომელიანოვმა სწორედ კოვალევსკის პასის შემდეგ გაიტანა. ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ახალ ლეგიონერს გუშინ შევეხმიანეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ...



# საქართველო რბილია

## კოვალევსკიმ პასი ჩამოიტანა

— როგორ აღმოჩნდით რუსთავის „ოლიმპში“?

— მოგეხსენებათ, „ოლიმპის“ მწვრთნელი ჩემი თანამემამულე ანატოლი პისკოვეცია და როცა გუნდი ჰყავდა უკრაინაში შეკრებაზე, მაშინ შემომეხმიანა. მასთან ძველი ნაცნობობა მაკავშირებს.

— რუსთავულ გუნდს რუსეთში „თანამეგობრობის თასზეც“ ახლდი, თუმც მერე საქართველოში აღარ გამოჰყევი...

— ყაზანის „რუბინის“ ვარიანტი გამომიჩნდა და იქ რამდენიმე კვირა ვივარჯიშე. საბოლოოდ, კლუბის ხელმძღვანელებს ვერ შევუთანხმდი. სხვათა შორის, იქ ქართველი ფეხბურთელები გავიცანი — კვირკველია, სალუქვაძე და რევიშვილი. კარგი ბიჭები არიან.

— უკრაინის ჩემპიონატში კი ყველაზე კარგად პოლტავის „ვორსკლაში“ ყოფნისას გამოიჩინეთ თავი...

— რამდენიმე წელი ვიყავი ამ გუნდში და მხოლოდ კარგი მახსენდება.

— საქართველოს ჩემპიონატშიც თამაშიც და „ამერთან“ 1:2 წააგეთ. ჩვენს ჩემპიონატზე რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

— ჯერ მხოლოდ ერთი კვირაა, აქ ვარ და დიდ ანალიზს ნუ მომთხოვთ. დონით უკრაინულს ნაღდად ვერ შეედრება, თუმცა აქ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ და ჩემი სტილის ფეხბურთელისთვის ეს უფრო მისაღებია. უკრაინაში ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ, ქართული ფეხბურთი კი რბილია.

— „ოლიმპთან“ რამდენხნიანი კონტრაქტი გააფორმეთ?

— სეზონის ბოლომდე და მერე შევხედავ.

— „ზესტაფონთან“ სათასო შეხვედრაზე რას იტყვით? პირველ მატჩში „ოლიმპმა“ 0:1 წააგო...

— ჩვენ ზესტაფონში მხოლოდ მოსაგებად ჩამოვედით და იმედი მაქვს ნახევარფინალშიც გავალთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# შეყილაძემ აღმოსავლეთი და დასავლეთი შეყარა



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი გელა შეყილაძე საქმიანობას შეუდგა და თანაშემწეებთან, ასლან ბალაძესთან და ლევან ხომერიკთან ერთად გუნდს ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევისთვის ამზადებს.

ნაკრების მწვრთნელებმა საქართველოს მასშტაბით 2 500 მოზარდი შეამოწმეს და საუკეთესოებიც აარჩიეს.

გუშინ გორში დასავლეთის ნაკრები აღმოსავლეთისას გაეჯიბრა და 5:0 იმარჯვა. ჰეთ თრიქი შეასრულა ხარაბაძემ, დუბლით კი ჩანგელია გამოირჩა.

***აღმოსავლეთის სრული შემადგენლობა:*** *დულარიძე, პაპუნაშვილი, სამხარაძე, მექიშვილი, რუსიშვილი, კანკია, ორდენიძე, ლობჟანიძე, ღარიბაშვილი, ქარიმანიშვილი, ბარიხაშვილი, იობაშვილი, ნაჟარაძე, ბუზალაძე, გრძელიშვანიშვილი, სირბილაძე.*

***დასავლეთის სრული შემადგენლობა:*** *მეშველიანი, მაქაცარია, დიდმელაშვილი, სირაძე, მირცხულავა, აფაქიძე, კვეკვესკირი, კირკიტაძე, ქვარცხავა, ვახანია, მეფარიშვილი, კუხიანიძე, ძალამიძე, ჩელებაძე, ჯანაძე, ჩანგელია, ხარაბაძე.*

რეგიონების მიხედვით, ფეხბურთელთა რაოდენობა ასეთია: სამეგრელო — 9, კახეთი — 8, იმერეთი — 7, შიდა ქართლი — 7, გურია — 1, აჭარა — 1, ქვემო ქართლი — 1, სამცხე-ჯავახეთი — 1.

**გელა შეყილაძე:** „მთლიანობაში კმაყოფილი დავრჩი, ბავშვებს მონდომება არ დაუკლიათ და საკმაოდ სანახაობრივი ფეხბურთიც ითამაშეს. მინდა, მადლობა ვუთხრა გორის „დილას“ ხელმძღვანელობას. მათ ყველა პირობა შეგვიქმნეს, რათა მატჩი მაღალ დონეზე ჩატარებულიყო“.

შეყილაძემ უახლოესი გეგმაც გაგვაცნო: „2 აპრილს აღმოსავლეთ-დასავლეთის ნაკრებებიდან საუკეთესოებს ავარჩევთ და თბილისის ნაკრებს გავაჯიბრებთ. ამის შემდეგ გვეცოდინება, ვის წავიყვანთ უნგრეთში შესარჩევ ტურნირში სათამაშოდ. ამ ეტაპზე კი 55-კაციანი გაფართოებული სია გვაქვს“.

17-წლამდელთა ნაკრები საკვალიფიკაციო მატჩების დაწყებამდე რამდენიმე უცხოურ შეკრებასაც გაივლის: 15 და 17 აპრილს ქართველი ჭაბუკები ბულგარეთში მასპინძლებთან ჩაატარებენ ორ ამხანაგურ შეხვედრას, 27 და 28 მაისს რუმინეთს ესტუმრებიან და ასევე ორჯერ ეთამაშებიან, 28 და 30 ივლისს აზერბაიჯანელ თანატოლებს გაეჯიბრებიან, 18-25 აგვისტოს ბალტიისპირეთში, პალანგის საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, ხოლო 15 სექტემბრიდან ლუქსემბურგში გაივლიან შეკრებას და იქვე ითამაშებენ მასპინძელთა ნაკრებთან.

გელა შეყილაძის გუნდი 21 სექტემბრიდან უნგრეთში გადაინაცვლებს და ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდის საგზურისთვის იბრძოლებს.

შეგახსენებთ: საქართველოს ნაკრების მეტოქეები უნგრეთი, ნუხეთი და ბოსნია არიან.

**ნუკრი ლოლაძე**

# კორღალიძემ გოლი არ დააგვიანა

**ლევან კორღალიძემ** თავის ახალ გუნდში, „დაჩიაში“ გოლების ანგარიში გახსნა: ჩვენიანმა „ტირასპოლთან“ მატჩის 21-ე წუთზე გაიტანა, მერე მისიანებმა კიდევ სამი მიამატეს და თამაში 4:0 დამთავრდა.

„დაჩია“ მოლდოვის ჩემპიონატში 8-ქულიანი უპირატესობით ინარჩუნებს მეორე ადგილს და ოთხი ქულით ჩამორჩება ვაჟა თარხნიშვილის ტირასპოლის „შერიფს“.

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი

### უმაღლესი ლიგა — გადადებული მატჩი

# გადადებულ მატჩს ამინდიც გადაჰყვა

## მგლებმა მეორე წრე შვიდად დაიწყო

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**უამინდობის** გამო თებერვლიდან მარტში გადმოდებულ მატჩს მაინც უამინდობა დაებედა — ზუგდიდში ძლიერად წვიმდა. მართალია, მატჩის დროს გამოიდარა, მაგრამ გაფუჭებულ მინდორს ამით ვერაფერი ეშველა. ამან კი თამაშის ხარისხზე დიდად იმოქმედა და უფრო ძალისმიერი ბრძოლა ვნახეთ. ფიზიკური მონაცემებით კი მესხები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე მასპინძლები. პირველი შეტევებიც სტუმრებმა განახორციელეს — მე-3 წუთზე ხანიშვილის ძლიერ დარტყმულს მეკარე ადგილზე დახვდა.

თამაში თანდათან გათანაბრდა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, სველ მინდორზე ზუსტი გადაცემების გაკეთება ჭირდა და პასების უმეტესობაც უზუსტო იყო.

მალე კუტალიას ორჯერ მიეცა კარში დარტყმის შესაძლებლობა და ორივეჯერ ფეხი დაუცდა. სტუმრებსაც შეეძლოთ გატანა, მაგრამ კოშკაძეს და ხანიშვილს იმავ მინდორმა უღალატა...

შესვენების შემდეგაც იგივე სცენარი იყო — მცირე უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ არც ერთ კართან დიდი ხიფათი არ შექმნილა.

64-ე წუთზე მასპინძელთა მწვრთნელმა ბესიკ შეროზიამ შეცვლა განახორციელა — ქომეთიანის ნაცვლად მოედანზე ჭკადუა შეუშვა და ტაქტიკური გადაადგილებები გააკეთა. ეტყობა, სტუმრებმა ამას ალღო ვერ აუღეს და 68-ე წუთზე გოლიც გაუშვეს: ჭკადუამ საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა და შესანიშნავი პასი გაუკეთა კრასოვსკის, რომელმაც მცველთა დაბნეულობით ისარგებლა და 1:0.

გაშვებულმა გოლმა სტუმრები ვერ გატეხა და მათაც შტურმი მოუწყვეს „მგლებს“, თუმცა მანუჩარ ივარდავას ვერაფერი დააკლეს.

სტუმრები ისე გაერთნენ შეტევებში, საკუთარი კარი გადაავიწყდათ და ერთდროულად სამი ზუგდიდელი აღმოჩნდა „მესხეთის“ მეკარესთან პირისპირ — გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან კუტალიამ პასის ნაცვლად კარში დაარტყა და გარედან მოარტყა ბურთი ბადეს. ეს 83-ე წუთზე მოხდა.

სტუმრები ამის შემდეგაც ბევრს ეცადნენ თამაშის გადარჩენას, მაგრამ „მგლების“ დაცვამ და მეკარემ უშეცდომოდ ჩაამთავრეს თამაში.

**ზუგდიდი. 11 მარტი. 15 საათი. გ. თუთბერიძე. 1 800 მაყურებელი**

### მგლები 1:0 მესხეთი

1:0 კრასოვსკი (68)

**მგლები:** ივარდავა, ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქომეთიანი (ჭკადუა 64), ხოხონიშვილი, დ. ქირია (გ. ქირია 71), წურწუმია (ხუხია 78), კრასოვსკი, კუტალია
*სათადარიგონი:* ქარდანი, გ. ექონია, კუჭუხიძე, ზ. ჯანაშია
**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**მესხეთი:** სომხიშვილი, რაქვიაშვილი, გ. ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონლაძე, ლეკიშვილი, გვირჯიშვილი, კოშკაძე, ინასარიძე (თაყაძე 79), ხანიშვილი (სუდაძე 81), მუშკუდიანი (სამადაშვილი 74)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ქობესაშვილი, თედიაშვილი
**მწვრთნელი:** კობა თედიაშვილი

**გაფრთხილება:** მაჭავარიანი, დ. ქირია, გ. ქირია, ხუხია, რაქვიაშვილი, ლონლაძე, ლეკიშვილი

**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ზ. ჯვარიძე, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი

### პრესკონფერენცია

*კობა თედიაშვილი:* ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით, რა თქმა უნდა, არა. ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა, მაგრამ იღბალმა გაგვწირა.

*ბესიკ შეროზია:* დღეს გუნდმა ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის. მეორე წრის სტარტზე შვიდი ქულის მოპოვება, თანაც საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან, იმაზე მეტყველებს, რომ შესვენებისას დრო უქმად არ დაგვიკარგავს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 14 | 0 | 2 | 42:9 | 42 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 13 | 1 | 2 | 30:9 | 40 |
| ზესტაფონი | 16 | 12 | 2 | 2 | 31:9 | 38 |
| ოლიმპი | 16 | 9 | 3 | 4 | 17:11 | 30 |
| ამერი | 16 | 9 | 1 | 6 | 26:18 | 28 |
| ბორჯომი | 16 | 8 | 4 | 4 | 21:15 | 28 |
| მგლები | 16 | 7 | 1 | 8 | 16:19 | 22 |
| მესხეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 16:22 | 21 |
| სიონი | 16 | 5 | 4 | 7 | 20:20 | 19 |
| სპარტაკი | 16 | 4 | 3 | 9 | 7:18 | 15 |
| მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 8:25 | 13 |
| ლოკომოტივი | 16 | 3 | 2 | 11 | 9:23 | 11 |
| დილა | 16 | 1 | 4 | 11 | 7:28 | 7 |
| ბათუმი | 16 | 1 | 3 | 12 | 6:30 | 6 |



ჩემპიონთა ლიგას ერთი ქართველიღა შემორჩა — ლევან კობიაშვილი. სასიხარულოა, რომ ტრავმებით გატანჯული შარშანდელი წელიწადის შემდეგ „კობი“ ისევ „ხუმარათა“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად იქცა.
გელზენკირხენელებსაც კარგი დრო უდგათ: ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო 8 გუნდში ხომ არიან და ბუნდესლიგის ბოლო მატჩიც მოიგეს, რითაც სამეულში შესვლის შანსი გაიზარდეს.
ლევანს სანაკრებო თემაზეც ველაპარაკეთ, თუმც ეს ბოლოს შემოვინახოთ...

# ნოიერმა პენალტი არ მაღირსა

## ლევან კობიაშვილი: ბელფასტში გასარკვევის გარკვევას ველოდები!

— არ გვეგონა, „პორტუსთან“ მომქანცველი 120 წუთის შემდეგ მწვრთნელი „ჰანოვერთანაც“ თუ გათამაშებდა. ესე იგი, ფიზიკურად კარგად ხარ...

— საბედნიეროდ, ტრავმების პერიოდი უკან წავიდა და ვატყობ, რომ კარგ ფორმაში ვარ. პორტუდან ჩამოსვლის შემდეგ ცოტა ვშიშობდით, გადაღლილობას არ ემოქმედა „ჰანოვერთან“, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

— „პორტუსთან“ მეხუთე პენალტს შენ ხომ არ ურტყამდი?

— კი, მე უნდა დამერტყა. ასე იყო „ვოლფსბურგთან“ თასზეც. მეხუთე ვიყავი სიაში და არ დამცალდა. აწი ვისწავლი ჭკუას და მესამე ან მეოთხე ვიქნები. ისე, კი მინდოდა, ჩემი დარტყმით გასულიყო „შალკე“ მეოთხედფინალში, მაგრამ ამას ვჩივი?! ჩვენმა მეკარე მანუელ ნოიერმა არ დამაცადა. ხომ ნახეთ, რა პენალტები აიღო...

— არა მარტო პენალტები — ასეთი დიდებული თამაში ბევრს არ შეუძლია, არადა, მგონი, ნოიერს ხშირად აკრიტიკებდნენ გერმანიაში...

— შარშანდელი სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა ნოიერმა, ბუნდესლიგის პირველ წრეში კი ცოტა არასტაბილურად თამაშობდა — ახალგაზრდაა და იმიტომ. თუმც „პორტუსთან“ თამაშით ყველა ძველი შეცდომა ერთად გამოასწორა.

— „პორტუმდე“ ბუნდესლიგაში „ბაიერთან“ 0:1 წააგეთ და არ გითამაშია. მწვრთნელმა ლიგისთვის დაგასვენა?

— არა. უბრალოდ, მირკო სლომკამ ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა — 4-4-2-ის ნაცვლად 4-3-3 აირჩია. სლომკას აკრიტიკებდნენ, ზამთარში ახალი ფეხბურთელები რისთვის დაიმატე, თუ არ ათამაშებო. „ბაიერნთან“ შეცვლაზე შეიძლება შევსულიყავი, მაგრამ ვაგებდით და თავდამსხმელების შეყვანა უფრო სწორი ნაბიჯი იყო.

— „შალკეში“ სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობ და პირდაპირი კონკურენტი, მგონი, არც გყავს...

— ასეა. ერთი პოზიცია, სადაც ან მე უნდა ვთამაშობდე, ან ვინმე სხვა, არ არსებობს. მარტო წლეულს ხან საყრდენი ნახევარმცველი ვიყავი, ხან მარცხენა მცველი, ხან სამ ნახევარმცველში მარცხენა ფრთაზე, ხანაც გარემარბი...

— როგორ ფიქრობ, ბუნდესლიგის სამეულში შესვლა არ გაგიჭირდებათ?

— მეორეზე გასვლაც შეგვიძლია — „ვერდერი“ და „ჰამბურგი“ ძალიან არ გვისწრებენ. თან ორივესთან სათამაშო გვაქვს და მგონი, სწორედ იქ გადაწყდება ეს ამბავი. ჩემპიონობის ამბავი დამთავრებულია, „ბაიერნის“ გადასწრებისა აღარავის სჯერა, ჩემპიონთა ლიგის დანარჩენი ორი ადგილისთვის კი, ვფიქრობ, ექვსი გუნდი იბრძოლებს.

— ამ ექვსს შორის „კარლსრუესაც“ თვლი?

— აუცილებლად. როგორ არ უნდა ჩავთვალო, როცა „კარლსრუე“ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს ბუნდესლიგაში, თანაც, ჩავარდნის გარეშე... „კარლსრუეს“ იმიტომ არ ვაქებ, რომ იქ ალექსანდრე იაშვილი თამაშობს. მართლაც კარგი გუნდია...

— პარასკევს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის კენჭისყრაა და რა თქმა უნდა, მეტოქედ „ფენერბაჰჩე“ გენდომებათ. აი, ყველაზე ძალიან ვინ არ გინდა, რომ შეგხვდეთ?

— მგონი, „ფენერბაჰჩესაც“ „შალკე“ უნდა... საერთოდ, როდესაც „პორტუ“ ამოგვივიდა კენჭისყრაში, მაშინაც ვთქვი, რომ, მაგალითად, „რეალთან“ თამაში მერჩივნა — გრანდებთან უფრო მოტივირებული ხარ, სხვა ეშხით გადიხარ მინდორზე. ახლაც, სიმართლე გითხრათ, „ფენერბაჰჩეს“ სულაც არ ვნატრობ. ყველაზე არასასურველი მეტოქე? არ ვიცი, ვერავის გამოვარჩევ.

— ლევან ყენიაზეც გკითხავ: დასწრებიხარ მის თამაშს „შალკეს“ 19-წლამდელებში?

— მინდა, რომ ლევანის თამაში ვნახო, მაგრამ ისინი ყოველთვის კვირას თამაშობენ. ჩვენ კვირას თუ არა, შაბათს გვაქვს-ხოლმე მატჩები და ხან ვერ ვასწრებ, ხანაც დაღლილი ვარ და სახლში ყოფნას ვამჯობინებ.

— და საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. 26 მარტს ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიასთან გელის თამაში...

— სიამოვნებით ველი მაგ დღეს. კარგი თამაში უნდა გამოვიდეს — ჩრდილოეთ ირლანდიამ წინა შესარჩევში აჩვენა, რომ სუსტი გუნდი არ არის.

— ზურაბ ხიზანიშვილმა თქვა, თუ გამომიძახებენ, ბელფასტში აუცილებლად ჩავალ — ახსნას ველი, რატომ თქვა ჩემზე კლაუს ტოპმიოლერმა, უდისციპლინოდ მოიქცაო. ბელფასტში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც ჩამოვლენ და საერთო კრებაც უნდა გაიმართოს. ალბათ იცი, რაზეც იქნება ლაპარაკი...

— ხიზანიშვილი რომ ბელფასტში ჩამოვა, ეს ძალიან კარგია. კრებაც აუცილებელია. ნაკრები საკადრისად ვერ თამაშობს, ესე იგი, მიზეზების პოვნაა საჭირო. ამაზე უნდა დავილაპარაკოთ, ვიმსჯელოთ. ასე მიფუჩეჩება არ შეიძლება... ერთხელ და სამუდამოდ უნდა მივხვდეთ, წარმატების მისაღწევად ყველანი მხარში უნდა დავუდგეთ ერთმანეთს. რაღაც გასარკვევია? უნდა გაირკვეს!

**ილია ნანობაშვილი**

# პაჭელო-როსტოვი აღარ გამოვიდა...



**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ თავდამსხმელი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე როსტოვის ასკ-ში ვერ ჩაირიცხა და ახალი კლუბის ძებნა მოუწევს.

„პაჭელომ“ როსტოველთა გუნდში რამდენიმე ტესტ-მატჩი ჩაატარა, გოლიც გაიტანა, მაგრამ პირობებზე ვერ შეთანხმდნენ თუ რა მოხდა, გარიგება არ შედგა. ყოველ შემთხვევაში, ასკ გუშინ შეკრებაზე მის გარეშე წავიდა.

მანამდე იყო ლაპარაკი, რომ „ლოკომოტივი“ გიორგის ასევე პირველდივიზიონელ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“ გაანათხოვრებდა, მაგრამ...

საინტერესოა, სად გადავა 21 წლის ფორვარდი, რომელიც შარშან იჯარით „ზესტაფონში“ თამაშობდა და 8 გოლიც გაიტანა ეროვნულ ჩემპიონატში.

**ილია ნანობაშვილი**

# მალხაზ ასათიანი წელში გაიმართა

**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი ვარჯიშს დღეს განაახლებს.

„სარბიელის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ასათიანს წელის ტკივილის გამო ათ დღეზე მეტი გაუცდა.

მალხაზის არყოფნაში „ლოკომოტივმა“ სუპერთასზე სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ 1:2 წააგო.

„ლოკომოტივის“ მეორე ქართველმა დავით მუჯირმა ამ მატჩში მონაწილეობა კი მიიღო, თუმც თამაში არ წაუვიდა...

მოკლედ, ასათიანი დღეიდან ვარჯიშს განაახლებს და ალბათ საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც გაჰყვება ბელფასტში, სადაც 26 მარტს კლაუს ტოპმიოლერის შეგირდები ამხანაგურად ჩრდილოეთ ირლანდიას გაეჯიბრებიან.



**ნუკრი ლოლაძე**

# სიმურგი ორბებს დაეტოლა

**საქართველოს** ჩემპიონატის მეორელიგელი „ორბები“, რომელსაც თემურ ჩხაიძე წვრთნის, ამხანაგურ მატჩში ზაქათალის „სიმურგს“ გაეჯიბრა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში რამდენიმედღიანი პაუზაა და გუნდებმაც ამით ისარგებლეს.

შეხვედრა 1:1 დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ „სიმურგში“ ორი ქართველი ირიცხება — „ამერიდან“ განათხოვრებული დავით ბოლქვაძე და „ზესტაფონიდან“ წასული კახა ჩხეტიანი.

**კახა შალამბერიძე**

# ზუხბაიას ნალჩიკი აღარ გამოუვიდა

**დიდი** ხანი არ არის, რაც საქართველოს ნაკრების ფორვარდი დავით სირაძე ნალჩიკის „სპარტაკში“ გადავიდა.

ამ გუნდში ორი ქართველი კიდევ ირიცხება — ალექსანდრე ამისულაშვილი და გოგიტა გოგუა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ყაბარდოულ გუნდში ახალგაზრდა ქართველი მეკარე ვლადიმერ ზუხბაიაც ისინჯებოდა, თუმცა მან იქაურებს თავი ვერ მოაწონა და თბილისის „ლოკომოტივში“ დაბრუნდა.

**ნუკრი ლოლაძე**

# გვაზავას უგოლო ტაიმი

**ვლადივოსტოკის** „ლუჩ-ენერგია“ შეკრებაზე იაპონიაში იმყოფება.

მოგეხსენებათ, ამ გუნდში ქართველი ნახევარმცველი ლევან გვაზავა ირიცხება.

„ლუჩ-ენერგიამ“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და იქაური „სიმიძუ სანილიე“ 5:0 მიანგრია. გვაზავა თამაშში მეორე ტაიმში ჩაერთო, თუმცა გოლი არ გაუტანია.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2007-2008. მერვედფინალი საპასუხო მატჩები. დღეს

ზენიტი (რუსეთი) — მარსელი (საფრანგეთი) (1:3)
ჰამბურგი (გერმანია) — ლევერკუზენი (გერმანია) (0:1)
ბაიერნი (გერმანია) — ანდერლეხტი (ბელგია) (5:0)
ევერტონი (ინგლისი) — ფიორენტინა (იტალია) (0:2)
პსვ (ჰოლანდია) — ტოტენჰემი (ინგლისი) (1:0)
ხეტაფე (ესპანეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) (2:1)



დიკ ადვოკაატი ამ მატჩსაც ტრიბუნიდან იხილავს

# ევერტონის 450

**„ბენფიკას“** ახალი მწვრთნელი ფერნანდუ შალანა რთული ამოცანის წინაშეა: „ხეტაფემ“ ლისაბონში 2:1 მოიგო და ფრეც ჰყოფნის მეოთხედფინალში გასასვლელად, „ბენფიკას“ კი, სულ მცირე, 2:0 სჭირდება. შალანას მთავარ მწვრთნელად არასოდეს უმუშავია, მაგრამ კვირას ხოსე ანტონიო კამაჩო გადადგა და კლუბის პრეზიდენტმა „არწივები“ ესპანელის პორტუგალიელ თანაშემწეს ჩააბარა.

ფერნანდუ შალანას პორტუგალიის ნაკრებში 27-ჯერ უთამაშია, საკლუბო დონეზე კი კარიერა „ბენფიკასა“ და „ბორდოში“ გაატარა.

ლისაბონელებმა კვირას „ლეირიას“ ვერ მოუგეს (2:2) და ხოსე ანტონიო კამაჩოც ამის შემდეგ წავიდა. ხოლო „ხეტაფემ“ ჩემპიონატში სტუმრად „მურსია“ 3:0 დაამარცხა პაბლოს, ალბინისა და კასკეროს გოლებით.

„ბენფიკას“ ესპანეთში 1982 წლის შემდეგ არ მოუგია. პირენეებზე ბოლო შვიდი მატჩიდან „არწივებმა“ ექვსი წააგეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

„ზენიტის“ თავკაცი დიკ ადვოკაატი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო „მარსელთან“ თამაშს ტრიბუნიდან ნახავს. საფრანგეთში პეტერბურგელებმა 1:3 წააგეს და შინ 2:0-იც ეყოფათ მეოთხედფინალში გასაღწევად. „მარსელმა“ წინა ეტაპიდან მოსკოვის „სპარტაკი“ გამოთიშა — „ველოდრომზე“ 3:0 იმარჯვა, სტუმრად კი 0:2 წააგო.

„3:1 დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს — თქვა ფრანგული გუნდის მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა — „ზენიტი“ ძლიერი მეტოქეა და ორბურთიანი სხვაობის შენარჩუნება ჩვენთვის იოლი არ იქნება. ვიმედოვნებ, რომ სანკტ-პეტერბურგში მოსკოვური შედეგი არ განმეორდება“.

„მარსელმა“ ჩემპიონატში „სენტ ეტიენს“ სძლია ვალბუენას და ტაივოს გოლებით. ეს მატჩი მამადუ ნიანგმა ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ გამოკეთდა და გუნდს რუსეთში გაჰყვა.

„ზენიტმა“ კვირას რუსეთის სუპერთასზე მოსკოვში „ლოკომოტივი“ დაამარცხა. გოლები ანდრეი არშავინმა და პაველ პოგრებნიაკმა მიითვალეს. ნევისპირელებს დღეს ნიკოლას ლომბარტსი, ალეხანდრო დომინგესი და ფატიჰ თექე დააკლდებათ, რადეკ შირლმა და რომან შირკოვმა კი სასჯელი მოიხადეს და ითამაშებენ.

„ევერტონს“ „ფიორენტინასთან“ ორბურთიანი სხვაობა აქვს გასაბათილებელი და ფილ ნევილს ეს შესაძლებლად მიაჩნია. „ბევრმა ალბათ უკვე ჩამოგვწერა ფლორენციაში მარცხის შემდეგ, მაგრამ ჩვენ შინ ყოველთვის ძლიერად ვთამაშობთ და თუ მოვინდომებთ, „ფიორენტინასაც“ სასურველი ანგარიშით მოვუგებთ“. მოსაგებად კი გოლების გატანაა საჭირო, რაც „ევერტონს“ იტალიურ კლუბებთან უკვე 450 წუთის განმავლობაში ვერ მოუხერხებია.

„ფიორენტინამ“ ჩემპიონატში „სიენასთან“ სტუმრად 0:1 წააგო, ხოლო „ევერტონმა“ ასეთივე ანგარიშით სანდერლენდში იმარჯვა. ფლორენციელებს ტრავმირებული პაპა ვაიგო დააკლდებათ, მასპინძლებს — ჯეიმს ვონი.

პსვ — „ტოტენჰემის“ მატჩი ჩაშლის პირას იყო, რადგან ჰოლანდიაში პოლიციელები გაიფიცნენ. კვირას პსვ — „აიაქსი“ სწორედ ამის გამო არ შედგა, მაგრამ სამართალდამცავებმა გაფიცვა დროებით შეწყვიტეს და დღევანდელ თამაშსაც აღარაფერი ემუქრება.

„ტოტენჰემმა“ პრემიერლიგაში „ვესტ ჰემი“ გაანადგურა (4:0) და დიმიტარ ბერბატოვმა ჰეთ თრიქი შეასრულა. ჰოლანდიაში „მამლებს“ ხუთჯერ უთამაშიათ, ორჯერ მოიგეს და სამჯერ დამარცხდნენ. პსვ-მ 13-ჯერ უმასპინძლა ინგლისურ კლუბებს, ხუთჯერ აჯობა, ამდენჯერვე წააგო და სამჯერ დაუზავდა.

ლისაბონის „სპორტინგს“ „ბოლტონთან“ შინ უგოლო ფრეც ეყოფა მეოთხედფინალში გასასვლელად. ლისაბონელებმა ექვსჯერ უმასპინძლეს ინგლისურ გუნდებს, ოთხჯერ მოუგეს, ერთხელ დაუზავდნენ და ერთხელ დამარცხდნენ. „ბოლტონს“ პორტუგალიაში ერთხელ უთამაშია („გიმრაეშთან“) და ის მატჩი 1:1 დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ბოლტონელებს ევროთასებზე ერთ ბურთზე მეტი სხვაობით არც მოუგიათ და არც წაუგიათ. სულ 18 ევრომატჩში გუნდმა 19 გოლი გაიტანა და ამ თვრამეტიდან 11 ფრე იყო.

„სპორტინგმა“ ჩემპინატში „გიმარაეშთან“ სტუმრად 0:2 წააგო, ხოლო „ბოლტონს“ გასულ უქმეებზე პრემიერლიგაში არ უთამაშია.

„შტუტგარტისგან“ ექვსი გოლის გამშვებმა „ვერდერმა“ სირცხვილი უნდა ჩამოირეცხოს და საამისოდ „რეინჯერსის“ დამარცხება მართებს. ბრემენელებმა შტუტგარტში შაბათს 3:6 წააგეს და „რეინჯერსთანაც“ ასეთი კარლია ფეხბურთი თუ გაჩალეს, ხეირი არ დაადგებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**



პაბლომ „ბენფიკას“ ლისაბონში გაუტანა. რა მოხდება მადრიდში?



# გრანტი ორს ებღაუჭება

## ინგლისი

პრემიერლიგა
XXIX ტური. დღეს

**ასტონ ვილა — მიდლსბრო**
**პორტსმუთი — ბირმინგემი**
**ჩელსი — დერბი**

**ასოციაციის** თასის მეოთხედფინალში ქვედალიგელ „ბარნსლისთან“ დამარცხებული და შერცხვენილი „ჩელსი“ დღეს „დერბის“ მასპინძლობს. ლიგის თასის ფინალში „ტოტენჰემთან“, მერე კი „ბარნსლისთან“ მოულოდნელმა წაგებამ „ჩელსის“ მწვრთნელის სკამი შეატოკა. ავრაამ გრანტის გუნდი ოთხიდან ორ ტურნირს გამოეთიშა და ახლა ჩემპიონთა ლიგა და პრემიერლიგა შერჩა.

უკვე საუბრობენ იმაზე, რომ სეზონის ბოლოს გრანტს მოხსნიან, მაგრამ თვითონ მაინც იმედიანადაა: „ყოველ მარცხზე პასუხს მე ვაგებ და რა გასაკვირია, რომ „ბარნსლის“ შემდეგ ფანები უკმაყოფილონი დარჩნენ. ვიცი, ბევრ არახასიამოვნოს იტყვიან ჩემზე, მაგრამ ორ ტურნირში კვლავ ვთამაშობთ და მათ მოგებაზე უნდა ვიფიქრო და არა სხვა რამეებზე“.

ავრაამ გრანტს ფეხბურთელებიც ზურგს უმაგრებენ. ნიკოლა ანელკა: „პასუხისმგებლობა ჩვენც უნდა ვიკისროთ, რათა ყველაფერი მწვრთნელს არ დაბრალდეს. თავადაც ხომ კარგად ვიცით, რომ „ბარნსლისთან“ ცუდად ვითამაშეთ. მართალია, ვერც ერთი ინგლისური თასი ვერ მოვიგეთ, მაგრამ პრემიერლიგის და ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი გვაქვს. „ჩელსის“ ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც სავსებით შეუძლიათ ორივე ფრონტზე გამარჯვება.

ანელკას კვერი პეტრ ჩეხმაც დაუკრა: „ჩელსი“ დიდი კლუბია, მაგრამ ავრაამ გრანტს ინგლისში კარგად არ იცნობენ და ყოველი მარცხის შემდეგ მედია ცდილობს, რაღაც ნეგატიური გამოჩხრიკოს. გუნდში ნორმალური ვითარებაა და მწვრთნელს ყველანი გვერდში ვუდგავართ. ასე რომ არ იყოს, ვერც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავიდოდით და ვერც პრემიერლიგაში ვიქნებოდით მესამე ადგილზე“.

„ბარსელონასთან“ მატჩში ავრაამ გრანტმა ფრენკ ლამპარდი და დიდიე დროგბა არ ათამაშა. დღეს ორივე ძირითად შემადგენლობაში იქნება, „ჩელსის“ კი „დერბის“ დამარცხება ალბათ არ გაუჭირდება.

„მიდლსბროც“ „ჩელსივით“ ასოციაციის თასის მეოთხედფინალიდან გამოვარდა და პრემიერლიგაში „ასტონ ვილას“ ესტუმრება. ბოროლებმა ჩემპიონატში ზედიზედ ორი მატჩი წააგეს, რასაც თასზე „კარდიფთან“ მარცხიც მიაყოლეს. „ძალე უნდა მოვიდეთ გონს და მარცხიანი სერია შევწყვიტოთ, რადგან პრემიერლიგაში დარჩენა ჯერ გარანტირებული არ გვაქვს“ — თქვა „მიდლსბროს“ მწვრთნელმა გარეთ საუთგეიტმა.

ბირმინგემელებს ზეტ ნაითი, ოლოფ მელბერგი და ნაიჯელ რეოკოკერი გამოუჯანმრთელდათ, კერტის დევისი კი ტრავმირებულია. „ასტონ ვილას“ უკვე სამი ტური, არ წაუგია, თუმც ბოლო ორი სეზონია, „მიდლსბრო“ „ვილა პარკზე“ არ აგებს.

ასოციაციის თასის მეოთხედფინალში „მანჩესტერის“ მძლეველი „პორტსმუთი“ „ბირმინგემს“ დაუხვდება, რომელიც ბოლო მატჩებში მოყოჩაღდა და მიჯრით ოთხ თამაშში არ დამარცხებულა. სტუმრებს ტრავმირებული ოლივიე კაპო ვერ დაეხმარება, მარტინ ტეილორი დისკვალიფიცირებულია, წინა ტურში „ტოტენჰემთან“ (4:1) სამი გოლის გამტანი მიკაელ ფორსელი კი ძირითად შემადგენლობაში იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 29 | 19 | 9 | 1 | 57:21 | 66 |
| მანჩესტერი | 28 | 20 | 4 | 4 | 58:15 | 64 |
| ჩელსი | 27 | 17 | 7 | 3 | 42:17 | 58 |
| ლივერპული | 29 | 15 | 11 | 3 | 53:20 | 56 |
| ევერტონი | 29 | 17 | 5 | 7 | 47:24 | 56 |
| ასტონ ვილა | 28 | 13 | 9 | 6 | 51:36 | 48 |
| ბლექბერნი | 29 | 12 | 10 | 7 | 38:35 | 46 |
| სიტი | 29 | 12 | 9 | 8 | 34:33 | 45 |
| პორტსმუთი | 28 | 12 | 8 | 8 | 38:29 | 44 |
| ვესტ ჰემი | 29 | 11 | 7 | 11 | 31:35 | 40 |
| ტოტენჰემი | 28 | 9 | 8 | 11 | 53:45 | 35 |
| მიდლსბრო | 28 | 7 | 8 | 13 | 25:42 | 29 |
| უიგანი | 29 | 7 | 7 | 15 | 26:42 | 28 |
| რედინგი | 29 | 8 | 4 | 17 | 34:55 | 28 |
| ნიუკასლი | 29 | 7 | 7 | 15 | 30:56 | 28 |
| სანდერლენდი | 29 | 7 | 6 | 16 | 26:47 | 27 |
| ბირმინგემი | 28 | 6 | 8 | 14 | 31:41 | 26 |
| ბოლტონი | 28 | 6 | 7 | 15 | 28:42 | 25 |
| ფულემი | 29 | 3 | 11 | 15 | 26:49 | 20 |
| დერბი | 28 | 1 | 7 | 20 | 13:57 | 10 |

# კუმანს ღამურა დაემუქრა



„ვალენსიას“ პატრონმა ხუან სოლერმა „ღამურათა“ სასიკეთოდ გუნდის მწვრთნელად რონალდ კუმანი დანიშნა, თუმცა ახლა თავკაცი ფიქრობს, რომ ეს არცთუ მომგებიანი იდეა იყო. სენიორ სოლერმა ჰოლანდიელს სრული ნდობა გამოუცხადა, მაგრამ კუმანი ამას სასურველი შედეგებით ვერა და ვერ პასუხობს. თავკაცმაც მოთმინება დაკარგა. „თუ წლეულს კოპა დელ რეის ნახევარფინალშიც დავმარცხდით და თასს გამოვეთიშეთ, არ ვიცი, კუმანს რას დავმართებ“ — უთქვამს ხუან ბაუტისტა სოლერს მედიის წარმომადგენლებთან.

კოპა დელ რეიზე კი „ვალენსიას“ მრისხანე მოწინაალმდეგე ჰყავს, კატალონიური „ბარსელონა“. ორივე გუნდს ჰოლანდიელები მოძღვრავენ და ორივესთვის, რონალდ კუმანისა და ფრანკ რაიკარდისთვისაც, თასიდან გამოვარდნა შეიძლება დამრიგებლობის დაკარგვას ნიშნავდეს. „ვალენსიას“ მმართველი საბჭოს წევრები კუმანთან გამოსამშვიდობებლად მზად არიან და სულაც არ აშფოთებთ, ვადაზე ადრე დათხოვნილ მწვრთნელს კომპენსაციის სახით 6 მილიონი ევრო რომ უნდა გადაუხადონ. „შეიძლება ვერ მოუგო „უელვას“, „ლევანტეს“ ან „დეპორტივოს“, თუმცა „ბარსელონასთან“ აუცილებლად გვმართებს გამარჯვება“ — კატეგორიული ტონით აცხადებს მავანი ბატონი მმართველი საბჭოდან...

ცუდ შედეგებს გულშემატკივრებთან და საკუთრივ ფეხბურთელებთან „ცივი ომიც“ დაემატა. კუმანმა გუნდიდან სამი ცნობილი ვეტერანი დაითხოვა და ეს მაშინ, როცა „ღამურათა“ რამდენიმე ვარსკვლავი ამა თუ იმ მიზეზით ცუდ ფორმაშია და ძველებურად ველარ ბურთაობს (ეს სილვას, ედუს, ვისენტეს და მიგელს ეხება). კუმანმა ვერ გამოიყენა ახალი ტრანსფერები და პლუს ამას „დიქტატორის“ საძულველი თიკუნიც მოიმკო — ჰოლანდიელმა თავის შეგირდებს უმკაცრესი რეჟიმი დაუწესა.

თავის მხრივ, კუმანიც გამოთქვამს გუნდის ხელმძღვანელობისადმი პრეტენზიებს. ჰოლანდიელს სასტიკად არ მოწონს, რომ „ვალენსიამ“ გუნდიდან დათხოვნილ ფეხბურთელებს ახალი კლუბები ჯერაც ვერ გამოუძებნა. გარდა ამისა, რონალდს ტრანსფერებშიც არაფერს ჰკითხავენ თურმე...

ფაქტი კი ფაქტად რჩება — მას შემდეგ, რაც „ვალენსიას“ საჭე კუმანს მიანდეს, გუნდმა პრიმერაში 16 შეხვედრა გამართა და შესაძლო 48-დან მხოლოდ 15 ქულა მოინადირა, რაც სეგუნდადივიზიონთან ჩასახუტებელი კლუბის მონაგარს უფრო წააგავს. გავიხსენოთ, რომ როცა კიკე სანჩეს ფლორესმა „მესტალია“ დატოვა, „ვალენსია“ ლა ლიგას ცხრილში მეოთხე იყო და ლიდერ „რეალთან“ მხოლოდ ოთხი ქულა აშორებდა. დღეს კი „ღამურები“ მეცხრე ადგილზე წვალობენ და თაოსან მადრიდელებსაც 26 ქულით ჩამორჩებიან...

ამას ისიც დავუმატოთ, რომ „ვალენსია“ საამსეზონოდ საშინაო შეხვედრებში საზიზღრად თამაშობს და სახლში წაგებებით ორ წყალწაღებულს, „მურსიასა“ და „ლევანტეს“ უტოლდება. გუნდს პრიმერადივიზიონის ბოლო ოთხ ტურში გამარჯვება არ უნახავს და წინ მნიშვნელოვანი მატჩები ელოდება — პრიმერაში „სევილიასთან“ და „რეალთან“, თასზე კი — „ბარსელონასთან“.

**ლადო ხომერიკი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისენტე დელ ბოსკე

# ბებერს ულვაშა შეცვლის

**ესპანური** „მარკა“ გვამცნობს, რომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ესპანეთის ეროვნულ გუნდს ვისენტე დელ ბოსკე ჩაუდგება სათავეში.

ამჟამად „ფურია როხას“ თავკაცი მხცოვანი კასტილიელი სპეციალისტი ლუის არაგონესია. „ბებერმა“ ნაკრები ევოპირველობაზე ბრწყინვალე სტილში გაიყვანა, თუმც „როხადან“ რაულის მოკვეთის და სხვა საკამათო გადაწყვეტილებათა გამო ინჩადასთან ურთიერთობა გაიფუჭა.

უკვე კარგა ხანია, ამბობენ, ევრო 2008-ის შემდეგ ლუისს მოხსნიანო.

„მარკას“ ვერსიით, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვილიარმა და ფედერაციის სპორტულმა დირექტორმა ფერნანდო იეროს ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ მომავალ სანაკრებო თავკაცად „რეალის“ ძველი ფეხბურთელი და ექსმწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე დაასახელეს. ულვაშა სპეციალისტი 29 ივნისს „ფურია როხასთან“ ორსეზონიან კონტრაქტს გააფორმებს და „ლას როზასის“ საწვრთნელ ბაზაზე იმ თანაშემწეებთან ერთად გამოცხადდება, რომლებიც მასთან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თანამშრომლობდნენ.

მთავარი გუნდის გარდა, მწვრთნელს ესპანელთა 21-წლამდელთა ნაკრებსაც შეუცვლიან. ახალგაზრდებსაც ექსმადრიდელი ხუან რამონ ლოპეს კარიო უხელმძღვანელებს, ვინც ახლახან „სელტამ“ დამრიგებლობიდან დაითხოვა.

**ლადო ხომერიკი**

# ჩელსის ესპანური თევზაობა

**რომან აბრამოვიჩმა** ყურადღება მიქაელ ლაუდრუპს მიაპყრო. რუს მილიარდერს სურს, რომ „ხეტაფეს“ დღევანდელმა მწვრთნელმა ივნისში გუნდი შეიცვალოს და „ჩელსიში“ აღმოჩნდეს. ამისთვის რომან არკადიევიჩი მზადაა, დანიელის კონტრაქტის გაუქმებისთვის, „ხეტაფეს“ გამიზნული თანხა, ორი მილიონი ევრო გადაუხადოს.

„ჩელსის“ პატრონმა თავისი კლუბის თავკაცი ავრაამ გრანტი უკვე აითვალწუნა. მით უმეტეს, ლონდონელთა ასოციაციის თასზე მოკრძალებულ „ბარნსლისთან“ კრახის შემდეგ აბრამოვიჩს (ინგლისური პრესა ასე ამტკიცებს) ბედოვლათი გრანტის დანახვაც არ უნდა. მედიაშიც უმალ გაჩნდა ცნობები ლაუდრუპით „ჩელსის“ დაინტერესების შესახებ.

ცნობილ დანიელ სპეციალისტს კი კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონით უწევს „ხეტაფესთან“ თანამშრომლობა. ხელშეკრულების ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში, დაინტერესებულმა კლუბმა „ხეტაფეს“ 2 მილიონი უნდა გადაუხადოს. ეს პუნქტი კონტრაქტში ადრე ფორმალურად ჩაიწერა, თუმცა თუ „ჩელსი“ ლაუდრუპს არ მოეშვა, მადრიდელთა პრეზიდენტი მიგელ ანხელ ტორესი აბრამოვიჩს ამ თანხას უცილობლად მოსთხოვს.

„არისტოკრატთა“ მეპატრონისთვის 2 მილიონი ევროს გადახდა დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. საქმეს თუ დასჭირდა, აბრამოვიჩი გრანტის თავიდან მოსაცილებლად მეტსაც გაიღებს. ლაუდრუპის გარდა კი ლონდონელები „ბარსელონას“ ფრანკ რაიკარდსაც უმიზნებენ, თუმცა დღეს „ჩელსის“ სამწვრთნელო რეიტინგში დანიელი ჰოლანდიელზე მაღლა დგას.



მიქაელ ლაუდრუპი

ორივე მწვრთნელს „სტემფორდ ბრიჯზე“ ერთი დიდი შემფასებელი ჰყავს — ფრანკ არნესენი. ეს კაცი წარსულში „ვალენსიას“ ფეხბურთელი იყო, ახლა კი „ჩელსის“ სპორტული დირექტორია (სხვათა შორის, აბრამოვიჩმა არნესენში „ტოტენჰემს“ 17 მილიონი ევრო გადაუხადა, თითქოს არნესენი ისევ მოქმედი ფეხბურთელი ყოფილიყოს).

„ჩელსის“ დიდმოხელე ესპანეთზეა შეყვარებული, პრიმერადივიზიონის მატჩებს თვალყურს ადევნებს და პირველად სწორედ მან ურჩია რომან არკადიევიჩს, მომავალ მწვრთნელებად რაიკარდისა და ლაუდრუპის კანდიდატურები განეხილა.

პრეზიდენტ აბრამოვიჩს „ჩელსიში“ დახარჯული ფულის მოედანზე ტრიუმფად გადაქცევა სურს და უფერული ავრაამ გრანტის ჩამოშორებაც ამიტომ უნდა. ინგლისში ამბობენ, რომ გრანტმა წლეულს ჩემპიონთა ლიგაც რომ მოიგოს, „სტემფორდ ბრიჯიდან“ დათხოვნას ვერ გადაურჩება.

მიქაელ ლაუდრუპს კი დანიური „ეკსტრა ბლადეტი“ გაესაუბრა „ჩელსიში“ მისი სავარაუდო გადაბარგების შესახებ. მწვრთნელმა განაცხადა: „ჩემზე გამოთქმულ ჭორებსა და ვარაუდებს ფეხბურთელობიდანვე მივეჩვიე და უკვე ყურადღებას არ ვაქცევ, მიუხედავად იმისა, ეს ჭორ-ვარაუდი რაოდენ სკანდალურია“.

„ჩელსი“ კი მილიონებს ხარჯავს და შედეგს ვერ იმკის. აბრამოვიჩმა შენიშნა, რომ „ლივერპულმა“ და „ტოტენჰემმა“ ესპანელ მწვრთნელთა (რაფაელ ბენიტესი, ხუანდე რამოსი) მიწვევით წარმატებებს მიაღწიეს და თავადაც პრიმერადივიზიონს დაუმიზნა. ფრანკ არნესენიც იქვეა და თანამემამულე ლაუდრუპს „ჩელსის“ პრეზიდენტთან ბეჯითად პროტექტორობს.

**ლადო ხომერიკი**

# მილოშევიჩი: რონალდო ვარ?

**34 წლის** სერბი ფორვარდი სავო მილოშევიჩი ყაზანის „რუბინში“ გადავიდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ყაზანურმა კლუბმა ცოტა ხნის წინ სერგეი რებროვი იყიდა და საკმაოდ სოლიდური შემტევი წყვილი გამოუვიდა.



მილოშევიჩმა კარიერა ბელგრადის „პარტიზანში“ დაიწყო და სამ სეზონში 64 გოლი გაიტანა. 1995 წელს „ასტონ ვილაში“ გადავიდა, იქაც სამი წელი გაატარა და 29-ზე მეტი ვერ შეაგდო. ინგლისიდან „სარაგოსას“ მიაშურა და 72 მატჩში 38 გოლი მიითვალა. 2000-2001-ის სეზონი „პარმაში“ გაატარა, სადაც ცხრა გოლს დასჯერდა. მერე იტალიელებმა ისევ „სარაგოსას“ ათხოვეს, რასაც „ესპანიოლი“, „სელტა“ და „ოსასუნა“ მოჰყვა.

„ოსასუნასთან“ კონტრაქტი შარშან ზაფხულს დაუსრულდა. მას აქეთ უგუნდოდ იყო, კანადაში „ტორონტოს“ ვარიანტი გამოუჩნდა, მაგრამ გარიგება არ შედგა.

სავო მილოშევიჩი სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებში ჩატარებული მატჩებით და გატანილი გოლებით რეკორდსმენია — 101 შეხვედრაში 35 გაიტანა. სანაკრებო კარიერა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა.

რუსულ მედიაში დაიწერა, სერბს „რუბინი“ კვირაში 200 ათას ევროს გადაუხდისო. კითხვაზე, მართალია თუ არა ეს ამბავი, მილოშევიჩმა მიუგო: „200 ათასი? ამდენი რომ მომცენ, რონალდო უნდა ვიყო. ისე კი, ხელფასი ჩემი პირადი საქმეა და მედიას არასოდეს ვუმხელ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არსენალის ახალგაზრდა საიდუმლოება



**საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მომავალი მეტოქის, ირლანდიის ნაკრების მომავალი მთავარი მწვრთნელის, იტალიელი ჯოვანი ტრაპატონის თანაშემწეთაგანი ცნობილი ირლანდიელი ლაიამ ბრეიდია, რომელიც პარალელურად ლონდონის „არსენალის" ახალგაზრდული აკადემიის დირექტორია. მოგეხსენებათ, რომ „მეთოფეების" ახააზრდული აკადემია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ვფიქრობთ, თქვენთვის საინტერესო იქნება „არსენალის" ლეგენდისა და ირლანდიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გმორჩეული ფეხბურთელის ინტერვიუ ამ თემაზე**

**— რამ გაიძულათ „არსენალის" ახალგაზრდული აკადემიის მმართველად გახდომა?**

— ერთი სიტყვით: „არსენალმა". ამ გუნდში გავიზარდე. 1970 წლიდან მოყოლებული „არსენალი" ჩემი ნაწილია. საოცარი შესაძლებლობის დიდი კლუბია და მასში მრავალი კარგი ფეხბურთელი ირიცხება. თუმცა მთავარი ის არის, რომ მახსოვს ჩემი თავი „ჰაიბერიზე", როცა სულ პატარა ვიყავი, და მახსოვს, როგორ მეპყრობოდა „არსენალი". სწორედ ამიტომ ავირჩიე ეს საქმე.

**— და რატომ ახალგაზრდული და არა ძირითადი გუნდი?**

— ვიყავი „სელტიკისა" და „ბრაიტონის" მწვრთნელი, მაგრამ აღარ მინდა ამ კარუსელზე ტრიალი. „არსენალში" პოსტი 1996 წელს მივიღე და ვიცოდი, რომ სტაბილური სამუშაო იყო, რომელიც ძირითადი გუნდისგან დამოუკიდებელი გახლდათ. სანამ ხელმძღვანელობა და არსენ ვენგერი ჩემი მუშაობით კმაყოფილნი იქნებიან, არსად წასვლას არ ვაპირებ.

**— რა მდგომარეობაში იყო „არსენალის" აკადემია, როცა თქვენ ჩაიბარეთ?**

— როცა მუშაობა დავიწყე, არცთუ კარგ მდგომარეობაში იყო. არსენ ვენგერმა დაარწმუნა ხელმძღვანელები, რომ ახალი საწვრთნელი ბაზა გვჭირდებოდა. მე კი განვაცხადე, რომ ახალგაზრდულ აკადემიას შეეძლო, კლუბის ახალი სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი გამხდარიყო. ამჟამად, ფაქტობრივად, ყველაფერი გვქვს, რაც გვინდა.

**— აკადემიაში ბევრი ადამიანი მოღვაწეობს?**

— დიახ, ძალიან ბევრი. 20-30 თანამშრომელია და 150 ახალგაზრდა ვარჯიშობს, რომელთა ასაკი 8-იდან 18 წლამდეა. ასევე გვყავს ბევრი სკაუტი, ძირითადად, ლონდონში, შოტლანდიაში, ირლანდიასა და დანარჩენ ევროპაში. თუმცა, მაგალითად, ჩვენი ხალხი მანჩესტერსა და ნიუკასლში არ არის, რადგან იქ ადგილობრივი დამკვირვებლები მუშაობენ.

**— როგორია „არსენალის" „ახალგაზრდული" პოლიტიკა?**

— ჩვენ მოთამაშეებს რამდენიმე კრიტერიუმით ვარჩევთ და მერე ვცდილობთ ტალანტის განვითარებას, რათა ფეხბურთელი უმაღლეს დონეზე ავიდეს. თუ ახალგაზრდას ათლეტურობა აკლია, მეტ ყურადღებას მის ფიზიკურ მომზადებას ვუთმობთ. რასაკვირველია, ტექნიკაც ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია, რომელიც გვაინტერესებს.

**— რამდენად ცდილობს კლუბი ახალგაზრდების ცხოვრებაზე გავლენის მოხდენას?**

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპულ ფერხულში ჩაებმება. ერთი პერიოდა, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ შედარებით სუსტი თაობის გამო უარი თქვა 18-წლამდელთა გუნდით ევროპის ჩემპიონატზე თამაშზე, თუმცა ამას წინათ გადაწყვეტილება შეცვალა და ჩვენი ჭაბუკები ამ ზაფხულს B დივიზიონიდან ელიტაში ასანაცვლებლად იბრძოლებენ. ჭაბუკთა ნაკრების მთავარი იმედი იტალიური „სიენას“ 17 წლისა და 213 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდ-ცენტრი ნიკა მეტრეველია, რომელსაც ევროჩემპიონატზე თამაშის არცთუ ურიგო გამოცდილება აქვს — 2 წლის წინ ჩვენი კადეტები ელიტაში რომ გადავიდნენ, მეტრეველი B დივიზიონის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ნიკას გასულ ზაფხულს იტალიის ჩემპიონმა 8-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა და სანამ სრულწლოვანი გახდება, დუბლებში ათამაშებს. მეტრეველმა სიენელებს ტოსკანას ჩემპიონატი მოაგებინა, თუმცა პლეი ოფში, სადაც იტალიის ყველა რეგიონის გამარჯვებული იბრძოლებს, თამაშის უფლება აღარ აქვს. ნიკა მეტრეველს გუშინ სიენაში შევეხმიანეთ და ახალი ამბები გამოვკითხეთ

— გილოცავ ტოსკანის ჩემპიონობას, თუმც მთავარი ბრძოლები ახლა გეწყებათ...

— გმადლობთ, მაგრამ პლეი ოფში ვეღარ ვითამაშებ. აქ ასეთი წესია: ასაკობრივ გუნდებში მყოფ უცხოელებს მხოლოდ რეგიონულ ჩემპიონატში თამაშის უფლება აქვთ, პლეი ოფში კი...

— რატომ, ეგ რა პრინციპია?

— არ ვიცი, იტალიაში ასეთი წესია: ახალგაზრდულ გუნდებში მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება უნდა გქონდეს, პლეი ოფშიც რომ ითამაშო.

— კი მაგრამ, ახალგაზრდულში თუ 3 წელი ითამაშებ, სრულწლოვანი გახდები...

— აქ რამდენიმე ასაკობრივი ჩემპიონატია — 16, 17 და 19-წლამდელები. მე პირველი წელია, იტალიაში ვარ და მართლა აღარ მომიწევს ახალგაზრდული ჩემპიონატის პლეი ოფში თამაში. თუმც ამაზე სულაც არ ვდარდობ. იმედი მაქვს, 1-2 წელიწადში „სიენას“ ძირითად გუნდში ვითამაშებ. უკვე სისტემატურად ვვარჯიშობ დიდებთან.

— ახლა რა უნდა ქნა, 19-წლამდელებში თამაშის უფლება აღარ გაქვს?

— 17-წლამდელთა გუნდშიც ვთამაშობ და ტოსკანას ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ დარჩა მატჩები. მარტის ბოლოს კი „სიენას“ 19-წლამდელებს ბელგრადში მივყვები, სადაც ევროლიგის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. იქ გამარჯვებულები მადრიდში, ევროლიგის ოთხთა ფინალის წინ თამაშის უფლებას მოიპოვებენ. დიდების პარალელურად ხომ ახალგაზრდებიც ავლენენ საუკეთესოს.

— „სიენამ“ რომ ტოსკანას პირველობა მოიგო, ამაში შენ რა წვლილი მიგიძღვის?

— საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ხუთეულში ვიყავი და მატჩში საშუალოდ, დაახლოებით 15 ქულას და 10 მოხსნას ვაკეთებდი. ასეთივე წარმატებით ვთამაშობდი 17-წლამდელთა გუნდშიც. ვფიქრობ, ურიგოდ არ გავრჯილვარ.

— ახალგაზრდული ჩემპიონატების გარდა სხვა ტურნირებშიც მოგიწია თამაშმა, სადაც პრიზებიც მოიგე...

— რომელიღაც იტალიურ კარნავალთან დაკავშირებით ამას წინათ ახალგაზრდული ტურნირი გაიმართა, რომელშიც სერია A-ს წამყვანი 8 გუნდის დუბლიორები მონაწილეობდნენ. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა და მე საუკეთესო თავდამსხმელისა და მოთამაშის პრიზი ავიღე.

— თავდამსხმელის?

— ჰო, მიუხედავად სიმაღლისა, 4 ნომერზე მათამაშებენ და არც მე ვარ წინააღმდეგი. ზოგ გუნდს ჩემი სიმაღლის ცენტრიც კი არ ყავს და თუკი თავდამსხმელის პოზიციაზე წარმატებით ვითამაშებ, ეს ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის უდიდესი უპირატესობა იქნება. რახან მწვრთნელები 4 ნომერზე მათამაშებენ, ესე იგი, აქ უფრო სასარგებლო ვარ.

— ადრე ხშირად გაწუხებდა ფეხის ტრავმა და ახლა როგორ გრძნობ თავს?

— ამას წინათ ფეხი ამომიბრუნდა და ცოტა ხნით უქმობა მომიხდა, მაგრამ მოედანს მალევე დავუბრუნდი. ახლა არაფერი არ მაწუხებს და სრული დატვირთვით ვცდილობ, თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო და ზაფხულში საქართველოს ნაკრებსაც გამოვადგე.

— რომელ ასაკობრივ ნაკრებში ითამაშებ?

— არ ვიცი, ასაკით ჭაბუკთა ნაკრებშიც მიწევს და თავისთავად, ახალგაზრდულშიც. სადაც მიმიწვევენ, იქ ვითამაშებ და თავს არსად დავზოგავ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 მარტი

**ორლანდო 123:112 ატლანტა**

*38:26 36:27 25:32 24:27*

**ორლანდო:** ჰოვარდი (26 ქულა, 16 მოხსნა), ევანსი (7), ნელსონი (13), ლუისი (22), თურქოღლუ (23 ქულა, 13 პასი, 10 მოხსნა); ბოგენსი (19), აროიუ (11), კუკი, ფოილი (2), გორტატი

**ატლანტა:** ჯონსონი (27 ქულა, 11 პასი), ბიბი (23), ფორფორდი (9), სმითი (16 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (11); ჩილდრესი (6), ფაჩულია (19 წუთი, 0 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ჯარიმა), სტუდემაიერი (16), ჯონსი, რიჩარდსონი (2), ვესტი (2)

**ფილადელფია 85:100 ბოსტონი**

**ფილადელფია:** მილერი (22), იგუდალა (17)

**ბოსტონი:** გარნეტი (26 ქულა, 12 მოხსნა), ალენი (21)

**კლივლენდი 88:80 პორტლენდი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (24 ქულა, 10 მოხსნა, 11 პასი), სმითი (18), ვარეჟაო (16)

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (25 ქულა, 10 მოხსნა), როი (15)

**მაიამი 98:99 კლიპერსი**

**მაიამი:** დევისი (27), კუკი (23), მერიონი (17 ქულა, 17 მოხსნა)

**კლიპერსი:** მობლი (29), ტორნტონი (22 ქულა, 10 მოხსნა), მეგეტი (22)

**ჰიუსტონი 91:73 ნიუ ჯერსი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (19), სკოლა (12), ელსტონი (12)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (13), ჯეფერსონი (12)

**სან ანტონიო 107:103 დენვერი**

**სან ანტონიო:** დანკანი (23 ქულა, 18 მოხსნა), პარკერი (16), ჯინობილი (13 ქულა, 14 პასი)

**დენვერი:** აივერსონი (28), სმიტი (22), ენტონი (18), მარტინი (16)

**დალასი 108:79 ნიუ იორკი**

**დალასი:** ნოვიცკი (18), ტერი (18), ჰოვარდი (14)

**ნიუ იორკი:** რენდოლფი (21 ქულა, 14 მოხსნა), ლი (14)

# უეიდმა სეზონი დაასრულა

**დუეინ უეიდისთვის** ტანჯვა დასრულდა, მიამი ...ავ კი გრძელდება. „მაიამი ჰითის“ 25 წლის ლიდერმა მარცხენა მუხლი ისე დაიშავა, რომ სეზონს ბოლომდე გამოტოვებს. ამის შესახებ განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა და მწვრთნელმა პატ რაილიმ.

ესლა აკლდა ამ წყალწაღებულ გუნდს, ისედაც ერთმანეთის მიყოლებით აგებდა ძლიერებთანაც და სუსტებთანაც. გუნდი, რომელიც წლინახევრის წინ ნბა-ს ჩემპიონი გახდა, ახლა 11 მოგებით და 50 წაგებით ბოლო ადგილზეა კონფერენციაშიც და მთლიანად ლიგაშიც და პლეი ოფში მოხვედრის იმედი შუა სეზონში გადაეწურა.

რამდენიმე კვირის წინ პატ რაილიმ გაცვლა მოაწყო და გადაბერებული შაკილ ონილის ნაცვლად „ფინიქსიდან“ 29 წლის ვარსკვლავი შონ მერიონი წაიყვანა, მაგრამ გუნდს ეს დიდად არ დასტყობია. უეიდის დამტვრევის შემდეგ ლიდერობის ტვირთის ზიდვა სწორედ მერიონს მოუწევს.

**ივანე კობიაშვილი**



# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

### ჯეისონ რიჩარდსონი (შარლოტი)



## დასავლეთი

### ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი)



**„ჰიუსტონ როკიტსი“** დაუმარცხებლად მიიწევს წინ და ორშაბათს ზედიზედ მე-19 გამარჯვება ჩაიწერა. გასულ კვირას ტეხასელებმა სამ გუნდს წაუხდინეს ხასიათი და სავსებით დამსახურებულად, კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასავლეთში „რაკეტების“ ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი დასახელდა.

„ჰიუსტონმა“ ეს არაბუნებრივად მძლავრი სვლა რომ დაიწყო, მაშინ მაკგრეიდი მთლად ფორმის პიკზეც ვერ იყო, თამაშში ზოგჯერ 20 ქულის გაკეთებაც კი უჭირდა, მაგრამ მერე მეფურად ათამაშდა, მით უმეტეს, იაო მინის დამტვრევის შემდეგ ბოლომდე იტვირთა ლიდერობა და გუნდთან ჰარმონიულად შეწყობილმა მძლავრი თამაშების სერია ჩაატარა. „ჰიუსტონის“ გამარჯვებათა ჯაჭვს გაწყვეტის საფრთხე ყველაზე მეტად შაბათს ნიუ ორლეანთან დაემუქრა და იმ დაძაბულ მატჩში მაკგრეიდიმ 41 ქულა მოქაფა, „რაკეტებმა“ კი 106:96 იძალეს. კვირის სამ თამაშში მაკგრეიდის საშუალოდ 32,3 ქულა, 7,7 პასი და 5,0 მოხსნა იხვეჭა.

რაც შეეხება აღმოსავლეთს, აქ რჩეულის სახელი შეხვდა „შარლოტ ბობქეთსის“ მსროლელ ჯეისონ რიჩარდსონს. მისი დახმარებით „ფოცხვერებმა“ კვირის განმავლობაში გამართული სამივე მატჩი მოიგეს, რიჩარდსონმა კი საშუალოდ 28,5 ქულა, 6,5 მოხსნა და 3,0 პასი აკეთა. ოთხშაბათს „გოლდენ სტეიტთან“ შეხვედრაში მან 42 ქულა გაჩარხა და კლუბის ისტორიაში რეკორდსმენად შევიდა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია):** კრის პოლი (ნიუ ორლეანი), ჯეისონ რიჩარდსონი (შარლოტი), ტრეისი მაკგრეიდი (ჰიუსტონი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)

# ახალი გამოფენა ძველი სახეებით



**გუშინ** ნიუ იორკის ლეგენდარული „მედისონ სქვერ გარდენი“ პირთამდე იყო გადავსებული. არა, არც საკალათბურთო „ნიქსი“ თამაშობდა, არც ნჰლ-ური „რეინჯერსი“. და არც რაიმე საკრივო ბატალია იყო დაგეგმილი. „გარდენის“ 19 000-ანი ტრიბუნები საჩოგბურთო შეხვედრამ, ორი დიადი მეჩოგნის, თავიანთი ეპოქისა და თაობების ორი საუკეთესო მოთამაშის — პიტ სამპრასისა და როჯერ ფედერერის საგამოფენო მატჩმა შეავსო.

მერე რა, რომ ეს ამ მეჩოგნეთა პირველი შეხვედრა არ იყო ასეთ ფორმატში. ფედერერი და სამპრასი ერთმანეთს გასული წლის მიწურულს აზიაში სამჯერ შეხვდნენ საგამოფენო შეხვედრებში. აქედან ორში შვეიცარიელმა იმარჯვა, ერთი კი ამერიკელმა მოიგო, მაგრამ გუშინდელმა მატჩმა მაინც არნახული ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც იყო გუშინ „გარდენში“ ბლომად ცნობილ სახეებს რომ ნახავდით.

„არცთუ ხშირად გიჩნდება შანსი, მსოფლიოს პირველი ჩოგნისა და ამ სპორტის ალბათ საუკეთესო წარმომადგენლის დაპირისპირებას უყურო. ეტყობა სწორედ ამან გამოიწვია ამხელა აჟიოტაჟი“ — განაცხადა ფედერერმა.

ჩვენ კი უკვე მერამდენედ გვიწევს სამპრასის სიდიადეზე წერა — ამერიკელს არც ეტყობა, რომ აგერ უკვე ხუთი წელია, ჩოგბურთიდან წავიდა. პიტი არც ასაკს იმჩნევს, კვლავაც მშვენივრად იქნევს ჩოგანს და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბევრ მოქმედ ჩოგბურთელს მოუგრეხს კისერს.

მატჩი კი მართლაც დაძაბული გამოდგა — ბევრი ღიმილისა და აქა-იქ ღლაბუცის მიუხედავად, ფედერერიცა და სამპრასიც თანდათანობით აზარტში შევიდნენ და საქმეს სერიოზულად მიუდგნენ. ეგ კი არა და, კარიერის განმავლობაში ყოველთვის წყნარი და უემოციო ამერიკელი იმდენად იყო დაგეშილი მოგებაზე, რომ ხან მსაჯებს ეკამათებოდა და გადაწყვეტილების შეცვლას სთხოვდა, ხანაც ჩოგანს გაბრაზებისგან აქეთ-იქით ისროდა.

თავიდან უკეთესად ფედერერმა დაიწყო და პირველი სეტი დამაჯერებლადაც მოიგო — 6:3. თუმც როგორც წინა შეხვედრებში, სამპრასმა ახლაც ნელ-ნელა მოუმატა და მეორე პარტია უკვე თანაბარი გამოდგა, სადაც მეტოქეები არაფერს თმობდნენ — შედეგად საქმე ტაიბრეკამდე მივიდა, სადაც ამერიკელი გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა და აკი იმარჯვა კიდეც.

მესამე და გადამწყვეტი სეტი სამპრასმა უკეთესად დაიწყო — ძლიერი მოწოდებითა და ბადესთან თითქმის იდეალური თამაშით ამერიკელმა ფედერერს ბლომად პრობლემები გაუჩინა. ჰოდა, ალპელმა მოხედვაც ვერ მოასწრო, 5:2-ს რომ აგებდა. სამპრასს გამარჯვებამდე ალარაფერი აკლდა, მაგრამ ალპელი აქ ოდნავ უფრო მეტი კონცენტრაციით ათამაშდა და შეცდომებს უკლო. თანაც ასაკს ადრე თუ გვიან მაინც თავისი უნდა გაეტანა და ამერიკელს დაღლა დაეტყო. თუმც პიტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო სეტის კიდევ ერთ საჩოგბურთო ლატარიამდე მიყვანა, მაგრამ აქ ვერც დარბაზის გამაყრუებელმა მხარდაჭერამ გაჭრა და ვერც სამპრასის თავგანწირულმა თამაშმა — „მხიარულმა როჯერმა“ თავისი გაიტანა და ამ სეზონში თავისი ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა.

„კმაყოფილი ვარ მეორე სეტი რომ მოვიგე — ამით მაყურებელს მეტი ჩოგბურთის ნახვის საშუალება მიეცა. თუმც მესამეშიც კარგად ვითამაშე და ამიტომ ცოტა იმედგაცრუებული ვარ, გამარჯვება რომ ვერ მოვახერხე“ — განაცხადა ნამატჩევს სამპრასმა.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ოქრუაშვილი სლოვაკმა შეაჩერა

**ისრაელში,** რამათ ჰაშერონის მაგარსაფარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში თამაშის უფლება მაგდა ოქრუაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთბაშად სამი მასპინძლის დამარცხებით მოიპოვა.

სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე ჩვენებურმა კარგადვე ველარ გააგრძელა — ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში მაგდა 17 წლისა და ურეიტინგო სლოვაკს, ლენკა ჟურიკოვას შეხვდა და სამ სეტში, 3:6 6:3 4:6 დამარცხდა.

10-ათასიანი შეჯიბრია ქაიროს თიხნარზეც. ეგვიპტური ტურნირის ძირითად ბადეში ორი ჩვენებურია, მანანა შაფაქიძე და ოქსანა კალაშნიკოვა. შაფაქიძე მე-6 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კორტის მასპინძელს, 20 წლის მეგი აზიზს შეხვდება, ვინც შეჯიბრში „ვაილდ ქარდით“, ანუ ორგანიზატორთა მიწვევით თამაშობს. რაც შეეხება კალაშნიკოვას, ის განთესვის მე-8 ნომერია და საწყის ეტაპზე 23 წლისა და კლაისიფკაციაში 690-ე ადგილზე მყოფ რუს გალინა ფოკინას დაუპირისპირდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოვეჩკინის კვირა

**გასული** კვირის პირველი ვარსკვლავობა „ვაშინგტონის“ სუპერთავდახმელ ალექსანდრ ოვეჩკინს ერგო. ეს ბიჭი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს და გასაკვირი არაა, რომ ლამის ყოველ მეორე კვირას საუკეთესოთა შორის ხვდება. გასულ შვიდდღეულში კი ოვეჩკინმა კარიერაში მეორედ უწია 50 გოლიან ზღვარს — რუსს საამისოდ რეგულარული სეზონის 67 მატჩი ეყო. ბოლოს ასეთივე ეფექტური სეზონი „პიტსბურგის“ სუპერვარსკლავებს — მარიო ლემიესა და იარომირ იაგრს ჰქონდათ, რომლებმაც 1995-96 წლების სეზონში 50 შაიბიან ნიშნულს 59-ე მატჩზე წყვილად უწიეს.

ოვეჩკინისგან განსაკუთრებით „ბოსტონმა“ იზარალა, რომელთან შეხვედრაშიც სლავმა სეზონში უკვე მეოთხე ჰეთ თრიქი შეასრულა და ამას ორი შედეგიანი გადაცემაც დაურთო. სულ კი „ალექსანდრე დიდმა“ გასულ კვირაში 8 ქულას (5+3) მოუყარა თავი. შედეგად, ოვეჩკინი ლიგის საუკეთესო სნაიპერიცაა 54 შაიბით, ბომბარდირიც 95 ქულით და თავისი გუნდი პლეი ოფში თუ გაათრია, მაშინ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტული გარანტირებული ექნება.

მეორე ვარსკვლავობა „ნიუ ჯერსის“ დიდებულ კარის დარაჯ მარტინ ბროდოს ერგო, რომელმაც გასულ კვირას სამივე შეხვედრაში იმარჯვა. „ეშმაკთა“ მეკარე ამ შეხვედრებში საშუალოდ, მხოლოდ 1 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 97,2 პროცენტს იგერიებდა, მისი დახმარებით კი წლეულს ნიუ იორკში გადაბარგებული გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერად იქცა.

როგორც ყოველთვის, ბროდო თითქმის ყველა სტატისტიკური მაჩვენებლით საუკეთესო მეკარეთა შორისაა — სეზონში საშუალოდ 2,12 შაიბას უშვებს (ლიგაში მესამე შედეგი) და მისი კარისკენ დარტყმულის 92,2 პროცენტს იგერიებს (მეორე შედეგი). გარდა ამისა, წლეულს ბროდოს ანგარიშზე 38 გამარჯვებაა მეორე შედეგი) და შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, რომ „ეშმაკთა“ კიპერი კარიერაში მეშვიდედ მოახერხებს 40 მოგებიანი სეზონის ჩატარებას — ამასთანავე მარტინი ლიგის რეკორდსმენი გახდება, რადგანაც აქამდე არც ერთ მეკარეს არ მოუხერხებია 40 ან მეტი მოგებით ზედიზედ სამი სეზონის ჩატარება.

მესამე ვარსკვლავად კი „სან ხოსეს“ ლიდერი ჯო ტორნტონი დასახელდა, რომელმაც გასულ კვირას 7 ქულას (2+5) მოუყარა თავი. მან განსაკუთრებით „მონრეალთან“ გაილაღა და წლეულს თავისთვის უმაღლესი 4 ქულა (2+2) მოაგროვა. მთლიანად სეზონში კი ტორნტონს 81 ქულა (19+62) აქვს და ამ მაჩვენებლით ბომბარდირთა დავაში მეოთხეა.

**ბაჩა ლომაშვილი**

# რეკორდსმენი იგინლა

**„კალგარის“** კაპიტანი და სიმბოლო ჯერომ იგინლა გუშინ თავისი გუნდის ახალი რეკორდსმენი შეიქნა — „სენტ ლუისთან“ შეხვედრაში იგინლამ „ალების“ მაისურით, რიგით უკვე 365-ე შაიბა გაიტანა და ამით გუნდის ისტორიაში საუკეთესო სნაიპერად იქცა. ამ მაჩვენებლით იგინლამ ტეო ფლერის გადაასწრო.

შეგახსენებთ, რომ 30 წლის იგინლას მთელი კარიერა „კალგარიში“ აქვს გატარებული. „ალების“ რიგებში ჩატარებულ 847 მატჩში (ესეც გუნდის რეკორდია) იგინლას ანგარიშზე ახლა 365 შაიბა და 743 ქულაა და ამ მაჩვენებლით მესამე ადგილი უკავია.

„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ. ის კი, ყველაფერი რომ მშობლიური ტრიბუნების წინ გავაკეთე, ერთიორად სასიხარულოა. ამ დარბაზთან უამრავი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს და ამ ჩამონათვალს დღეს კიდევ ერთი შეემატა“ — ხარობდა ნამატჩევს იგინლა.

**ბაჩა ლომაშვილი**

## რეგულარული ჩემპიონატი

10 მარტი

**ბუფალო 2:3 რეინჯერსი**

*1:1 1:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 პომინვილი (1), 1:1 ტიუტინი (2), 1:2 იაგრი (29), 2:2 ვანეკი (35)

**კალგარი 7:3 სენტ ლუისი**

*3:1 1:1 3:1*

1:0 ტანგეი (1), 2:0 ჰუსელიუსი (8), 2:1 ბექსი (10), 3:1 იგინლა (19), 3:2 ბოისი (27), 4:2 ლომბარდი (30), 5:2 ნილსონი (47), 6:2 ლუნგკოუ (48), 6:3 ბოისი (52), 7:3 ტანგეი (56)

**ლოს ანჯელესი 1:2 ვანკუვერი**

*0:0 0:0 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*

1:0 ოსალივანი (49), 1:1 კესლერი (58), 1:2 კესლერი (61)



# ქართველების მესამე დუბლი



კოკაიმ სამ ორთაბრძოლაში სამი გამარჯვება მოიპოვა

**დიდი** სუმოს ქართველი ოსტატები, ლევან ცაგურია და ლევან გორგოძე აგრძელებენ წარმატებულ ჭიდაობას სეზონის მეორე, მარტის ბაშოზე.

როგორც ზედა დივიზიონ მაკუჩიში, ისე მურიოდ წოდებულ ქვედა ლიგაში, უკვე სამი ტური მიილია და ქართველების აქტივში სამ-სამი გამარჯვებაა.

შეჯიბრის მესამე დღეს კოკაიდ წოდებულმა ცაგურიამ ტოიონოშიმა დაამარცხა, ხოლო გორგოძემ, ვისაც იაპონელები ტოჩინოშინად უხმობენ, ჰაკუბა დაჯაბნა.

კოკაისთან ერთად, უმაღლეს დივიზიონში სამი მოგებით კიდევ რვა სეკიტორი იწონებს თავს და რა გასაკვირია, რომ მათ შორის არიან მონღოლი იოკოძუნები, ჰაკუხო და ასასორიუ. რაც შეეხება მურიოს დივიზიონს, იქ სამ-სამი მოგება მხოლოდ სამ სუმოისტს აქვს — ტოჩინოშინს გვერდს კომურაუამა და ჩიოჰაკუჰო უმშვენებენ.




# ასის მეხუთე თასი

**გასულ** კვირაში შუაგულმა ციმბირმა, ხანტების მთავარქალაქმა ხანტი-მანსიისკმა ბიატლონისტთა 2007-08 წლების მსოფლიოს თასის ბოლოსწინა ეტაპს უმასპინძლა.

ობისა და ირტიშის შესართავთან მდებარე ქალაქში დიადმა ნორვეგიელმა ოლე ეინარ ბიორნდალენმა წლევანდელ სეზონში მისთვის პროგრამა-მინიმუმად ქცეული ერთი გამარჯვება მოიპოვა და დასკვნითი, საშშობლოში გასამართი ეტაპის წინ გაინაღდა მსოფლიოს თასის გამარჯვებულის წოდება — გენერალურ კლასიფიკაციაში ოლე 169 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ რუს დმიტრი იაროშენკოს და ბოლო ეტაპზე კი მაქსიმუმ 150 ქულა თამაშდება.

ბიორნდალენმა მეხუთედ მოიპოვა მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო დიიდ ბროლის გლობუსი და ეს ახალი რეკორდია. აქამდე ოთხოთხი ტიტულით ყველაზე წინ, ოლესთან ერთად, გასული საუკუნის 80-იანი წლების გერმანელი ვარსკვლავი ფრანკ ულრიხი და დიდი სპორტიდან შარშან წასული ფრანგი რაფაელ პუარე იყვნენ. ახლა ნორვეგიელმა გერმანელი და ფრანგი უკან ჩამოიტოვა და ყველას მაღლიდან გადმოხედა.

ესეც ბიორნდალენის ახალი რეკორდი და იქიდან გამომდინარე, რომ ოლე, მინიმუმ 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიდამდე, ანუ ორი წელი რჩება დიდ ბიატლონში, კიდევ რამდენ რეკორდს დაამყარებს, ძნელი სათქმელია.

ოლე ეინარ ბიორნდალენი 1974 წლის 27 იანვარს დრამენში დაიბადა, ანუ ახლა 34 წლის გახლავთ, ხოლო მისი პროფესიონალური კარიერა 1992 წლიდან იწყება.

ამ 16 წლის მანძილზე, უკვე ლეგენდად ქცეულმა ნორვეგიელმა, მართლაც რომ ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწია. მოკლედ ჩამოვთვალოთ:

2002 წლის სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებზე ოლემ ოთხიდან ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა, სულ კი ოლიმპიადებზე მას 5 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული;

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბიორნდალენმა 10 ოქროს, 8 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს, ანუ ჯამში 27 მედალი მოიპოვა, რაც აბსოლუტური რეკორდი გახლავთ და ის, სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატებზე 11-11 ოქროს მომხვეჭი რუსი ალექსანდრ ტიხონოვისა და გერმანელი ფრანკ ლუკის რეკორდსაც დაამხობს თუ არა, გაიმეორებს მაინც;

მსოფლიოს თასის აბსოლუტურ ჩათვლაში, როგორც ვთქვით, ოლემ, უკვე მეხუთედ იმარჯვა და ამას გარდა ხუთჯერ მეორე იყო, ერთხელ კი მესამე;

მსოფლიოს თასის ეტაპებზე ბიორნდალენმა, უკვე 82 გამარჯვება მოიპოვა (აქედან ერთი ბარის თხილამურობაში) და ის სულ მცირედითღა ჩამორჩება ამ მაჩვენებლით ზამთრის სპორტის რაგინდარა სახეობათა აბსოლუტურ რეკორდსმენს, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ლეგენდარულ შვედ სამთომოთხილამურე ინგემარ სტენმარკს. სულ, მსოფლიოს თასის ეტაპების პოდიუმებზე, ბიორნდალენი 138-ჯერ მდგარა (აქედან სამჯერ ბარის თხილამურობაში) და ესეც რეკორდი გახლავთ.

და ერთიც, ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და მსოფლიოს თასის ეტაპებზე, თუ ესტაფეტებსაც ჩავთვლით, ოლე ეინარ ბიორნდალენის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა ოდენობამ ასს გადააჭარბა და ძნელად, ამ ფანტასტიკურ მაჩვენებელს, ვინმე ახლო მომავალში რომ დაეტოლოს.

### მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი კაცთა შორის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1978 | ფრანკ ულრიხი (გერმანია, გდრ) | 1993 | მიქაელ ლეფგრენი (შვედეთი) |
| 1979 | კლაუს ზიბერტი (გერმანია, გდრ) | 1994 | პატრის ბეილი-სალინსი (საფრანგეთი) |
| 1980 | ფრანკ ულრიხი (გერმანია, გდრ) | 1995 | იონ ოგე ტილდუნი (ნორვეგია) |
| 1981 | ფრანკ ულრიხი (გერმანია, გდრ) | 1996 | ვლადიმირ დრაჩევი (რუსეთი) |
| 1982 | ფრანკ ულრიხი (გერმანია, გდრ) | 1997 | სვენ ფიშერი (გერმანია) |
| 1983 | პეტერ ანგერერი (გერმანია, გფრ) | 1998 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) |
| 1984 | ფრანკ-პეტერ რიოში (გერმანია, გდრ) | 1999 | სვენ ფიშერი (გერმანია) |
| 1985 | ფრანკ-პეტერ რიოში (გერმანია, გდრ) | 2000 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) |
| 1986 | ანდრე ზემიში (გერმანია, გდრ) | 2001 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) |
| 1987 | ფრანკ-პეტერ რიოში (გერმანია, გდრ) | 2002 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) |
| 1988 | ფრიც ფიშერი (გერმანია, გდრ) | 2003 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) |
| 1989 | ერიკ კვალფოსი (ნორვეგია) | 2004 | რაფაელ პუარე (საფრანგეთი) |
| 1990 | სერგეი ჩეპიკოვი (სსრკ, რუსეთი) | 2005 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) |
| 1991 | სერგეი ჩეპიკოვი (რუსეთი) | 2006 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) |
| 1992 | იონ ოგე ტილდუმი (ნორვეგია) | 2007 | მიხაელ გრაისი (გერმანია) |
| | | 2008 | ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) |



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

მეორე ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

**I ჯგუფი**

ადემარი (ესპანეთი) — ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) 28:27

კილი (გერმანია) — ლავრი (საფრანგეთი) 36:30

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კილი | 5 | 4 | 0 | 1 | 159:134 | 8 |
| ადემერი | 5 | 3 | 0 | 2 | 147:139 | 6 |
| ჩეხ. მედვედი | 5 | 2 | 0 | 3 | 142:145 | 4 |
| ლავრი | 5 | 1 | 0 | 4 | 142:172 | 2 |

**II ჯგუფი**

სიუდადი (ესპანეთი) — გორენჯე (სლოვენია) 30:24

გუმერსბახერი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი) 30:25

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიუდადი | 5 | 4 | 0 | 1 | 142:125 | 8 |
| გუმერსბახი | 5 | 3 | 0 | 2 | 156:145 | 6 |
| მონპელიე | 5 | 2 | 0 | 3 | 146:153 | 4 |
| გორენჯე | 5 | 1 | 0 | 4 | 130:151 | 2 |

**III ჯგუფი**

ჰამბურგი (გერმანია) — ფლენსბურგი (გერმანია) 32:30

პორტლენდი (ესპანეთი) — ოსიგერანჯე (ხორვატია) 35:27

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამბურგი | 5 | 3 | 1 | 1 | 155:148 | 7 |
| ოსიგერანჯე | 5 | 3 | 0 | 2 | 141:141 | 6 |
| პორტლენდი | 5 | 2 | 1 | 2 | 147:140 | 5 |
| ფლენსბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 140:154 | 2 |

**IV ჯგუფი**

ბარსელონა (ესპანეთი) — სვენდბორგი (დანია) 29:24

პიკი (უნგრეთი) — პივოვარნა (სლოვენია) 20:19

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 166:142 | 8 |
| სვენდბორგი | 5 | 3 | 0 | 2 | 154:154 | 6 |
| პიკი | 5 | 2 | 0 | 3 | 137:148 | 4 |
| პივოვარნა | 5 | 1 | 0 | 4 | 142:155 | 2 |

# თავში ესპანელები და გერმანელები არიან

**ხელბურთელთა** ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი ფინიშისკენ მიდის. ბოლოსწინა ტურმა ზოგს მეოთხედფინალის საგზური გაუნაღდა და ზოგსაც ნაადრევად ჩააქნევინა ხელი.

გერმანულმა „კილმა“ აკრეფილი ტემპი შეინარჩუნა და საკუთარ მოედანზე ფრანგული „ლეავრი“ 36:30 შემუსრა. ბუნდესლიგის ბინადრებს 9 გოლი ანდერსონმა მოუხვეჭა. ამდენივე სტუმართა აბადომაც შეაგდო, მაგრამ მისი გარჯა წყალში ჩაიყარა. ჯგუფის მეორე უმნიშვნელოვანეს თამაშში „ადემერმა“ „რუს დათვებს“ უშედავათო ბრძოლაში მოუგო. ხელბურთელებს ნერვებმაც ბევრჯერ უმტყუნათ და მსაჯს ერთბაშად სამი წითელი ბარათი დასტყუეს. დამხვდურთაგან 10 გოლით სტრანოვსკი გამოირჩა.

სხვა მატჩებიდან გერმანული დაპირისპირების გამოყოფა შეიძლება — „ჰამბურგმა“ „ფლენსურგს“ 32:30 მოუგო და ჯგუფიდან გასვლის მინიმალური შანსიც მოუსპო. მასპინძლებს 6-6 გოლი ჰანსმა და იოჰმა შეაშველეს. სტუმრებს ლიჯევსკს 8 გოლმაც არ უშველა. „ბარსელონამ“ უშუალო კონკურენტ „სვენდბოგს“ შინ 29:24 აჯობა. კატალონიელთაგან 8 ბურთი პეტერსენმა გაიტანა...

„პიკმა“ კი მწირგოლიან თამაშში „პივოვარნა“ კინკილა ქულით 20:19 დაჩაგრა. უახლოეს დღეებში გუნდები ბოლო ტურს მოილევენ და მეოთხედფინალიდან უფრო დაძაბული და თვალსასეირო თამაშები გაჩაღდება.

**ლექსო მაისურაძე**



მარტინ სტრანოვსკიმ „რუს დათვებს“ ათი გოლი გაუტანა



# ჰაილემ ჩინელებს ჰაერი დაუწუნა

**ბოლო** ათწლეულის უდიდესმა სტაიერმა, მარათონულ რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენმა და ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ჰაილე გებრსელასიემ ბრძანა, პეკინის ოლიმპიადაზე მარათონულ გზას, ალბთ, არ დავადგებიო.

დიადი ეთიოპიელის აზრით, ჩინეთის დედაქალაქში ჰაერი ძალიან დაბინძურებულია და ასეთ პირობებში ორი საათი ქუჩაში სირბილი, თანაც ასთმით დაავადებულისთვის, სარისკო საქმეა.

საბოლოო გადაწყვეტილებას ჰაილე მაისის ბოლოსთვის მიიღებს და, თუ მარათონზე უარს იტყვის, მაშინ აქცენტს სტადიონზე 10 000-მეტრიან სირბილზე გააკეთებს — ამ მანძილის დაფარვას ხომ ნახევარ საათზე ნაკლები სჭირდება.



# უსი, ასო და პარიზი-ნიცა



გერტ სტეეგმანსი

**კვირას** პარიზში ველომრბოლთა ახალი სეზონის პირველი მნიშვნელოვანი რბოლა, ერთკვირიანი „პარიზი-ნიცა“ დაიწყო, თუმცაღა მის დაწყებას საკმაოდ დიდი ალიაქოთი უძღოდა წინ.

საქმე იმაშია, რომ „პარიზი-ნიცა“, ისევე როგორც ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული რბოლა „ტურ დე ფრანსი“ არ ექვემდებარება ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირს (UCI) და კერძო კომპანია ASO-ს პატრონაჟით ტარდება. UCI-სა და ASO-ს შორის კი ბოლო ხანს უაღრესად გამწვავდა ურთიერთობა. თანაც „ტურ დე ფრანსის“ მფლობელებს სხვა სუპერრბოლების, იტალიური „ჯიროსა“ და ესპანური „ვუელტას“ ორგანიზატორებსაც აუბეს მხარი. ისინი თამაშის თავიანთ წესებს ითხოვენ, რაც UCI-სა და მის მიერ ორგანიზებული „პრო-ტურის“ გეგმებში არაფრით არ ჯდება.

მაგალითად, ASO-მ თავის მიერ ორგანიზებულ რბოლებში მონაწილეობა აუკრძალა ყაზახურ „ასტანას“, რომელიც პრო-ტურის ერთ-ერთ წამყვან გუნდად ითვლება და თანაც, „ასტანას“ ღირსებას იცავს „ტურისა“ და „პარიზი-ნიცას“ შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ალბერტო კონტადორი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ASO არას დაგიდევთ, გუნდი პრო-ტურის სერიაში შედის თუ არა, ის რბოლებში საკუთარი გადაწყვეტილებით იწვევს ველოგუნდებს და UCI კი ასეთი თავნებობის სასტიკი წინააღმდეგია. „პარიზი-ნიცას“ დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კავშირის ირლანდიელმა თავკაცმა პატ მაკუეიდმა სასტიკად დაგმო ASO-ს ქმედებანი და ბრძანა, ისინი, ვინც „პარიზ-ნიცას“ გზებზე გამოვლენ, კავშირისგან მოიკვეთებიანო.

ცოტა არ იყოს, თამამი განცხადებაა, რადგანაც ველოსამყაროში ჯერ „ტურ დე ფრანსია“, შემდეგ „ჯირო“ და „ვუელტა“ და ამის შემდეგ მოდის ყველა დანარჩენი რბოლა. კავშირის ერთადერთი კოზირი მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშებია, მაგრამ მაინც — ნებისმიერ მრბოლს ჰკითხეთ და გიპასუხებთ, რომ „ტურზე“ წინ ვერაფერს დააყენებს.

აი, ასეთი, არც თუ სასიამოვნო ამბების ფონზე დაიწყო წლევანდელი, რიგით 66-ე „პარიზი-ნიცა“, რომლის 4,6-კილომეტრიანი პროლოგი ფრანგული „კრედიტ აგრიკოლის“ ნორვეგიელმა მრბოლმა ტორ ჰუსჰოვდმა მოიგო. ჰუსჰოვდმა პარიზის ქუჩებში გავლებულ გზას 5 წუთი და 28 წამი მოანდომა და შესაბამისად, 4 და 5 წამით აჯობა მეორე-მესამე ადგილებზე გასულებს, „ეუსკალტელის“ ესპანელ მერკელ ირიზარს და „გეროლშტაინერის“ გერმანელ შტეფან შუმახერს.

ორშაბათს, როდესაც პირველი ეტაპი ჩატარდა, პარიზსა და მის შემოგარენში კოკისპირულად წვიმდა და ორგანიზატორები იძულებულები გახდნენ ეტაპი დაემოკლებინათ და სტარტი ქალაქ ლა შაპელოტში გადაეტანათ. შედეგად, მრბოლებმა 184 კილომეტრის ნაცვლად თითქმის ორჯერ ნაკლები გაიარეს და ყველაფერი ფინიშისას გაირკვა, როდესაც „ქვიკ სტეპის“ ბელგიელმა, 27 წლის გერტ სტეეგმანსმა მცირედით აჯობა ფრანგ ჟერომ პინოსა და პროლოგის მომგებ ჰუსჰოვდს.

საერთო ჩათვლაში პირველი ადგილი ჰუსჰოვდმა შეინარჩუნა, სტეეგმანსი კი ლიდერს 6 წამით ჩამორჩება.



# ვალვერდეს მესამე მურსია

**„კაისე დეპარნის“** ესპანელი მრბოლის, ალეხანდრო ვალვერდეს გამარჯვებით დასრულდა ხუთეტაპა „ვეულტა მურსია“, რომელიც 27-ედ ჩატარდა.

გენერალურ კლასიფიკაციაში 27 წლის ბასკმა ოდენ ორი წამით აჯობა „ჯიროს“ ძველ ჩემპიონს, იტალიელ სტეფანო გარძელის, ხოლო შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ალბერტო კონტადორი ექვსი წამით ჩამოიტოვა.

ვალვერდემ მესამედ მოიგო მურსიის რბოლა და ამით ერთგვარი რეკორდი დაამყარა. გადამწყვეტ უპირატესობას „კაისე დეპარნის“ მრბოლმა მეოთხე ეტაპზე მიაღწია, როდესაც 23-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა. ის წამები, რომლებითაც საბოლოო ჯამში იმარჯვა, ალეხანდრომ სწორედ ინდივიდიუალურ რბოლაში მოუგო გარძელისა და კონტადორს და დასკვნით, მეხუთე ეტაპზე, მოპოვებული უპირატესობა უპრობლემოდ შეინარჩუნა.

# კანსელარას ეროიკა

**ინდივიდუალურ** რბოლაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა, დანიური CSC-ის შვეიცარიელმა მრბოლმა ფაბიენ კანსელარამ მოიგო იტალიურ სიენაში გამართული ერთდღიანი „მონტე პაშ ეროიკა“, რომელიც ახალი რბოლაა ველოკალენდარში და წლეულს, ოდენ მეორედ ჩატარდა.

181-კილომეტრიანი დისტანციის გავლას შვეიცარიელმა 4 საათი, 34 წუთი და 41 წამი მოანდომა და 15 წამით აჯობა უახლოეს მდევრებს, იტალიელ ბალანისა და გერმანელ გერდემანს.





რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
ეროვნული ბიზნესპროექტი
№ 1 საავტომობილო ზეთი



ფლავიო ბრიატორე და ფერნანდო ალონსო

# მთავარია, რომ ალონსომ გაიღიმა

**დამდეგ** უქმეებზე ავსტრალიაში მორიგი საპირველფორმულო სეზონი იწყება. გუნდებმა, ფაქტობრივად, დაასრულეს მზადება ახალი ჩემპიონატისთვის და მწვანე კონტინენტისკენ აიღეს გეზი.

წლევანდელი „სამეფო რბოლები“ ბევრი რამით იქნება გამორჩეული და ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ერთ-ერთი კითხვა ის გახლავთ, თუ როგორი იქნება ახალი „რენო“ და რა ბედი ელის „მაკლარენიდან“ თავის ძველ გუნდში დაბრუნებულ ორგზის ჩემპიონ ფერნანდო ალონსოს.

შეგახსენებთ, რომ ესპანელმა თავისი ორივე ტიტული (2005-06 წლებში), სწორედ „რენოთი“ მოიპოვა, მაგრამ შემდეგ „მაკლარენში“ გადავიდა, სადაც ერთი, ფრიად რთული სეზონი გაატარა. რთული იმიტომ, რომ ნანდომ ვერაფრითააწყო ურთიერთობა თავის ბრიტანელ თანაგუნდელთან, „სამეფო რბოლების“ დებიუტანტ ლუის ჰემილტონთან და შემდეგ „მაკების“ შეფთან, რონ დენისთანაც წაუხდა საქმე. ამის მიუხედავად, ალონსო ბოლო რბოლამდე ინარჩუნებდა საჩემპიონო შანსს და საბოლოო ჯამში მესამე ადგილზე გასული, ოდენ ერთი ქულით ჩამორჩა ახალ ტრიუმფატორს, „ფერარის“ ფინელ პილოტ კიმი რაიკონენს.

ამ ყველაფრის შემდეგ ესპანელმა „რენოში“ დაბრუნება გადაწყვიტა და ეს, მიუხედავდა იმისა, რომ სადღეისოდ ფრანგული საჯინიბო ისეთი მძლავრი აღარ არის, ორი წლის წინ რომ იყო. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, შარშანდელი ჩავარდნის შემდეგ „რენომ“ ახალი ბოლიდის შექმნა დაიწყო, მაგრამ როდის იქნება ეს მანქანა კონკურენტუნარიანი, ჯერ ძნელი სათქმელია.

ამ რამდენიმე კვირის წინ, მორიგი წინასასეზონო ტესტების შემდეგ, ალონსომ თავად განაცხადა, „ფერარისა“ და „მაკლარენზე“ ლაპარაკი არც არის, ჩვენ სხვა გუნდებიც გვისწრებენ და სადღაც, პელოტონის შუაში ვართო. თუმცა, შემდეგ ფერნანდოს ცოტა ოპტიმიზმი მოემატა და ბრძანა, ჩვენი საპოდიუმე შანსი, დაახლოებით 30 პროცენტს უდრისო.

თავის მრბოლს „რენოს“ ოდიოზური შეფი ფლავიო ბრიატორეც დაეთანხმა, ოღონდაც იტალიელმა ცოტა სხვანაირად იანგარიშა — ალონსოს ეტაპების მოგების 25-პროცენტიანი შანსი აქვსო.

ელემენტარულად თუ ვიანგარიშებთ, მოგების 25-პროცენტიანი ალბათობა სჯობს 30 პროცენტიან საპოდიუმე შანსს, თუმც ეს ყველაფერი მკითხაობაა და მოახლოებული სტარტის წინ ბრიატორე, უკვე სხვანაირად მსჯელობს: „ფერნანდომ უაღრესად კონცენტრირებული და მოტივირებულია. მთავარია, რომ ის „რენოში“ თავს ბედნიერად გრძნობს და მის სახეზე ღიმილი დაბრუნდა. ეს უკვე გამარჯვების ტოლფასი საქმეა და გუნდშიც ისეთი ატმოსფეროა, თითქოს ჩემპიონატი მოგვეგოს. შარშან ალონსოს ძალიან უჭირდა, ის ნამდვილად არ იყო ბედნიერი, ახლა კი იცის, რომ იქ არის, სადაც უნდა იყოს“.

„ბოლო რამდენიმე კვირა ძალიან დაძაბული იყო. მე „რენოში“ დავბრუნდი და თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. აქ ყველას ვიცნობ და ეს სამუშაოს აიოლებს. პირველ ტესტებზე ჩვენი მიზანი მანქანა საიმედოობა იყო. შემდეგ ბოლიდს ახალი ელემენტები შეემატა და ჩვენც წინ წავედით. შემიძლია ვთქვა, რომ ახალ სეზონს შესაძლებლობების მაქსიმუმით ვხვდებით და თუ რამდენია ეს მაქსიმუმი, უკვე რბოლებში გამოჩნდება.

ძალზე ძნელია, შარშანდელი უკანდახევის შემდეგ, ორ თვეში ტოპ-გუნდებთან გათანაბრება, მით უმეტეს, რომ არც სხვა გუნდები ტკეპნიან ერთ ადგილს. და მაინც, მე მჯერა, რომ ჩვენ გვაქვს პოტენციალი. თანაც, „რენოში“ იციან საჩემპიონო მანქანების გაკეთება და გვჯერა, რომ შეგვიძლია ამ ტრადიციის გაგრძელება.

რაც შეეხება სეზონის პირველ რბოლას, რა თქმა უნდა, ის იოლი არ იქნება. პოდიუმზე მოხვედრა საკმაოდ ძნელია, მაგრამ ერთს ვიტყვი — თუ შანსი მექნება, ამ შანსს აუცილებლად გამოვიყენებ“ — ეს კი უკვე თავად ფერნანდო ალონსოს სიტყვებია, ვინც მოუთმენლად ელის ახალი ჩემპიონატის დაწყებას და იმედოვნებს, რომ სადღაც შუა სეზონისთვის „რენო“ უკვე კონკურენტუნარიანი იქნება.

**კახა ლომაძე**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### მერვედფინალი. საპასუხო მატჩი. წუხელ

# ასეთია ფეხბურთი, იმარჯვებს ძლიერი

**ინტერი (იტალია) 0:1 ლივერპული (ინგლისი) (0:2)**

0:1 ტორესი (64)
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო, რივასი, კივუ, კამბიასო, ძანეტი, ვიეირა (პელე 77), სტანკოვიჩი (ხიმენესი 84), იბრაჰიმოვიჩი (სუასო 80), კრუსი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ლივერპული: რეინა, კარაგერი, შკრტელი, ჰუუპია, ფაბიო აურელიო, მასკერანო (პენანტი 87), ლუკაშ ლეივა, ჯერარდი, ბაბელი (ბენაიუნი 61), კუიტი (რიისე 81), ტორესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბაბელი, ბურდისო, ჯერარდი, ბურდისო, ფაბიო აურელიო, რივასი, სტანკოვიჩი, ბენაიუნი, კივუ
გაძევება: ბურდისო (50)
მსაჯი: ტომ ჰენინგ ევრებიო (ნორვეგია)
80 000 მაყურებელი

**წუხანდელ** მატჩამდე ოპტიმისტურად განწყობილი „შავ-ლურჯები“ ერთსა და იგივეს გაიძახოდნენ: აი, 1965-ში, „სან სიროზე“ „ლივერპულთან“ ორბურთიანი დეფიციტი გავაბათილეთ და იმ წელს ჩემპიონთა თასი დავისაკუთრეთ, ისტორიას კი გამეორება სჩვევიაო...

ისტორია არ გამეორდა. წუხელ „ინტერმა“ „სან სიროზე“ არათუ ინგლისში მიღებული ორბურთიანი დეფიციტი ვერ აღმოფხვრა, არამედ სულაც დამარცხდა. თუ ისტორიის გამეორებაზეა საუბარი, კი ბატონო, გუშინ სალამოს დაახლოებით იგივე მოხდა, რაც სამი კვირის წინ და არა 1965-ში. 19 თებერვალს, პირველ მატჩში მერსისაიდელებმა სასურველ შედეგს მხოლოდ მას მერე მიაღწიეს, რაც მარკო მატერაციმ ორი ყვითელი ბარათი მიიღო და „ნერაძური“ რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა. იმ თამაშის მიწურულს დირკ კუიტმა და სტივენ ჯერარდმა „ლივერპულის“ უდიდესი უპირატესობა ორი გოლით გამოხატეს.

გუშინ კი მილანელებს დათვური სამსახური სხვა მცველმა, ოდიოზური „მატრიცას“ პოზიციაზე გამწესებულმა ნიკოლა ბურდისომ გაუწია. არგენტინელმა პირველი გაფრთხილება 34-ე წუთზე მიიღო, თუმცა ასე რომც არ მომხდარიყო, 50-ე წუთზე ბურდისოს გაძევება ისედაც ერგებოდა — „ინტერის“ მცველი ლეივას მეტისმეტი სისასტიკით მოეპყრო. ზუსტად 14 წუთში კი ფერნანდო ტორესმა შესანიშნავი გოლი გაიტანა.

ეს რაც შეეხებოდა პარალელებს და ისტორიის გამეორებებს. მთლიანობაში კი მატჩი საკმაოდ კარგი საყურებელი გამოდგა. „ინტერმა“ თავიდანვე შეუტია და მეტოქე საგრძნობლადაც შეავიწროვა. პირველი სახიფათო მომენტიც მასპინძლებმა შექმნეს: მე-8 წუთზე ხულიო კრუსმა საჯარიმოს მისადგომებიდან მარჯვედ დაჰკრა და მეკარე რეინას მოგერიება მეტად გაუჭირდა. ტაიმის შუისკენ სტუმრებმაც მოიცალეს შესატევად და ფერნანდო ტორესმა ბრწყინვალე დრიბლინგით „ინტერის“ მთელი დაცვა დაიბრიყვა, თუმცა ჟულიო სეზარს ველარ აჯობა. პირველი ნახევრის მიწურულს კი გოლის გატანა ხსენებულ ხულიო კრუსს შეეძლო, ვინც მეკარის ბაქანზე ბურთის კარში გადაგზავნა ქუსლურით სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

მეორე ტაიმის დებიუტში თავი ბურდისომ „ისახელა“, აი, ამის მერე კი „ლივერპულმა“ მასპინძელი აშკარად დაჯაბნა. მერსისაიდული წნეხის შედეგი კი ფერნანდო ტორესის მართლაც ლამაზი გოლი იყო. ესპანელ ფორვარდს არც ლამაზი ილეთი გამოუყენებია, არც მაკრატელა შეუსრულებია — უბრალოდ, ბურთი საჯარიმოს წინა ხაზთან ოსტატურად მიიღო, ელეგანტურად დაამუშავა და უზუსტესად დაარტყა, ანუ ყველაფერი ზედმიწევნით ტექნიკურად და სწორად გააკეთა. კლასიკურად გატანილი გოლი იყო და ამის შემდეგ კი „ინტერს“ უკვე ოთხის გატანა მართებდა, რაც მოედანზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო. მართალია, მილანელებმა რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო იერიში განახორციელეს, მაგრამ „ლივერპულმა“ მათზე მინიმუმ ორჯერ მეტი შექმნა და მოგებაც ალალად დაიმსახურა.

თავისი საუკუნოვანი იუბილეს წინა სალამოს „ინტერმა“ „რეჯინა“ დაამარცხა და მერე კარგადაც იზეიმა, მაგრამ „ლივერპულმა“ მილანელ „შავ-ლურჯებს“ ეს საზეიმო განწყობა დაუნდობლად ჩაუმწარა. რას იზამ, ასეთია სპორტი და კერძოდ ფეხბურთი — იმარჯვებს ძლიერი, გუშინ კი ძლიერი „ლივერპული“ იყო.

ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის ბოლო მეოთხედფინალისტიც გამოვლინდა, რაც იმას ნიშნავს, რომ უმთავრესი ევროტურნირის ამ სტადიის რვა მონაწილიდან ნახევარი ინგლისიდან იქნება.

**სლავა გასპაროვი**



ფერნანდო ტორესმა (შუაში) „ლივერპული“ მეოთხედფინალში გაიყვანა



რობერტო მანჩინი საჩემპიონთალიგო ტრიუმფზე ოცნებას წლეულსაც ნაადრევად გამოეთხოვა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**
გრეტნა — სენტ მირენი გადაიდო

**I დივიზიონი. XXIX ტური**
კლაიდი 1:1 მორტონი
დანფერმლაინი 1:1 ჰამილტონი
დანდი 2:0 ლივინგსტონი
სენტ ჯონსტონი 2:1 ქუინი
პარტიკი — სტირლინგი გადაიდო

**II დივიზიონი. გადადებული მატჩები**
ბერვიკი 4:5 კოუდენბითი
როსი 2:4 ეარი

**III დივიზიონი. გადადებული მატჩები**
ფორფარი 1:0 არბროთი
ალბიონი — სტრანრარი გადაიდო
ისტ სტირლინგი — დამბარტონი გადაიდო

## გერმანია

**ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**
კოტბუსი 0:1 შტუტგარტი

**სამხრეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩი**
უნტერჰახინგი 1:1 ზიგენი

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. გადადებული მატჩი**
ლანსი 1:2 ლილი

## ჰოლანდია

**ერედივიზიონი. გადადებული მატჩი**
ვენლო 0:2 ტვენტე

## ფინეთი

**ლიგის თასი. VI ტური. I ჯგუფი**
კუოპიო 1:2 ჰიკ

## ამხანაგური მატჩი

ს. აფრიკა 2:1 ზიმბაბვე

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XXXVIII ტური**
სკანთორპი 1:0 პლიმუთი
ბარნსლი 4:1 იფსვიჩი
ბრისტოლი 0:0 უოტფორდი
ბარნლი 1:0 ჩარლტონი
კოლჩესტერი 1:2 უენსდი
ნორვიჩი 0:1 სტოკი
პრესტონი 2:1 ვულვზი
შეფილდი 2:1 ქოვენთრი
საუთჰემპტონი 1:0 ლესტერი
ქუინზ პარკი 3:2 ბლექპული

**I ლიგა. XXXVII ტური**
კარლაილი 2:1 ლუთონი
ქრიუ 0:2 პორტ ვეილი
დონკასტერი 2:1 ჯილინგემი
ჰარტლპული 2:1 ჰადერსფილდი
ლიდსი 1:2 ჩელტენემი
ლეიტონი 2:1 სუინდონი
ოლდემი 2:0 ბორნმუთი
საუთენდი 1:1 ნოტინგემი
სუონსი 1:1 ტრანმერი
უოლსოლი 1:2 ბრაიტონი
იოვილი 0:1 მილუოლი

**II ლიგა. XXXVII ტური**
ბრენტფორდი 1:2 პიტერბრო
ბერი 3:0 როტერჰემი
დაგენემი 0:1 მაკლსფილდი
გრიმსბი 4:1 ბარნეტი
მენსფილდი 0:1 ჰერეფორდი
ნოტსი 0:1 ლინკოლნი
შრიუსბერი 0:0 დარლინგტონი
სტოკპორტი 2:0 როჩდეილი
უიკომბი 2:1 რექსემი

**კონფერენსლიგა. XXXVII ტური**
ალდერშოტი 3:1 ჰისტონი
ალტრინჩემი 2:3 ქროული
ებსფლიტი 0:3 რაშდენი
ბრეისი 0:0 ბარტონი
ჰალიფაქსი 3:2 ტორკი
ვეიმუთი 0:0 ფერსლი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაღრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge